# საერთო გაზეთი

№23 (704)
ოთხშაბათი
5 ივლისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.


## სალო-ყრუ, გაიღვიძე, უკვე პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ხარ დაკრძალული!





### პრიგოჟინის ბელორუსში ყოფნა ნატოს შეშფოთებას იწვევს

### საქართველო ჩვენი სამშობლოა, ეს ქვეყანა ყველასია და ამიტომაც დავუდგეთ გვერდით ჩვენს ქვეყანას

### მასობრივი საშუალებებით ადამიანთა მანიპულირების 10 მეთოდი



სურათი გენერიებულია ხელოვნური ინტელაქტის საშუალებით

## საქართველოს „გაუბედურებული" ოპოზიცია

# საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის წლიური ანგარიში საქართველოს პარლამენტში

❖ 3 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა თითქმის 30 მლრდ ლარით გაიზარდა

❖ უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით შემცირდა მნიშვნელოვნად და მიაღწია

❖ ისტორიულ მინიმუმს - 17.3%-ს. აბსოლუტური სიღარიბის დონე ასევე ისტორიულ მინიმუმამდე - 15.6%-მდე ჩამოვიდა

❖ ახალი აეროპორტის აშენების მიზნით მიმდინარეობს მსოფლიოში წამყვანი, საუკეთესო არქიტექტორების და კომპანიების შერჩევა და ჩვენ გვინდა, რომ სამუშაოები დავიწყოთ 2024 წელს

❖ რეკორდულ მაჩვენებელს - 2 მილიარდ დოლარს მიაღწია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ

❖ შარშან ექსპორტი გაიზარდა 31.%-ით და შეადგინა 5.6 მილიარდი დოლარი, ხოლო სავაჭრო ბრუნვა 33.%-ით არის გაზრდილი და შეადგინა 19.2 მილიარდი დოლარი, რომელიც ასევე რეკორდული მოცულობაა

❖ რაც შეეხება ანაკლიის პორტს, ამის თაობაზე მე არაერთხელ განვაცხადე, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და პორტის მშენებლობა დაიწყება წელს, მთავრობის დაფინანსებით

❖ 2022 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებამ 15.2 მილიარდი ლარი შეადგინა; უკანაკსნელი 10 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი გაზრდილია 112%-ით

❖ გასულ წელს მსოფლიოს 66 ქვეყანაში ექსპორტირებულია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული რაოდენობის - 103 მილიონ ლიტრამდე, 252 მლნ დოლარის ღირებულების ღვინო

❖ შარშან ექსპლუატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური, ამჟამად, სულ გაფორმებულია 229 მემორანდუმი; მიმდინარეობს მუშაობა 4 დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის განვითარების შესახებ

❖ დღეისათვის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოცული არის მოსახლეობის 95%-მდე. პროგრამის დაწყებიდან, 3 მილიონ მოქალაქეს დავუფინანსეთ 11 მილიონი სამედიცინო შემთხვევა და ამაში ბიუჯეტიდან გადავიხადეთ 7 მილიარდი ლარი

❖ ბავშვთა ასაკის ონკოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად შევიმუშავეთ პროექტი, რომლის ფარგლებშიც, საქართველოში თანამედროვე სტანდარტების ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრის გახსნამდე, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვი საზღვარგარეთ, მაღალტექნოლოგიურ კლინიკებში სრულყოფილ მკურნალობას სახელმწიფო დაფინანსებით მიიღებს

❖ კონკრეტული ფაქტები მოგვახსენეს ჩვენმა ევროპელმა კოლეგებმა, როდესაც ჩადიან ჩვენი უპასუხისმგებლო ოპოზიციის წარმომადგენლები და სთხოვენ, რომ არ უნდა მიიღოს სტატუსი საქართველომ „ქართული ოცნების“ პირობებში. რამხელა ღალატია ჩვენი ეროვნული და ხალხის ინტერესების

❖ შეხვედრებზე ვარწმუნებ ჩემს ევროპელ კოლეგებს და მეგობრებს, რომ თუ არ მიანიჭებენ საქართველოს კანდიდატის სტატუსს, ეს იქნება ევროკავშირის მხრიდან დაშვებული მორიგი სტრატეგიული შეცდომა და ამას ჩვენი ქვეყანა, ხალხი და ხელისუფლება არ იმსახურებს

❖ მედიკამენტების ფასები შემცირებული არის 60-დან 80 %-მდე, წლის ჭრილში, მოსახლეობამ 200 მილიონ ლარზე მეტი დაზოგა შარშან და ეს ყოველ წელს მოიმატებს, ეს ეკონომია, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა ნახავს



❖ პოლიციელებზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი

❖ ჩვენ ვთქვით საჯაროდ და ღიად თავიდანვე, რომ ჩვენ არ გადავდგამთ არცერთ ნაბიჯს, რომელიც დააზიანებს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ჩვენი ხალხის ინტერესებს

❖ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, სტრასბურგის სასამართლოს 2012 წლის შემდეგ საქართველოს პენიტენციური სისტემიდან ერთი საქმეც კი არ მიუღია წარმოებაში, 2012-მდე საშინელება ხდებოდა, ჯოჯოხეთი იყო მოწყობილი

❖ თქვენი ბელადის კამპანია, რომ კვდება, მოვწამლეთ, ვაწამეთ, ამაზე სად ხართ, რატომ აღარ ამბობთ არაფერს, გადარჩა სააკაშვილი თუ აღდგა? აი ეს არის სახე ჩვენი დეგრადირებული, გაუბედურებული ოპოზიციის

❖ მივყვებით ჩვენი ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დეოკუპაციისა და ქვეყნის გაერთიანების ჩვენს მიერ არჩეულ კურსს, ჩვენი ქვეყნის გაერთიანება არის ის მთავარი უზენაესი იდეა და მიზანი, რომლის გარშემოც ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ

❖ სტრასბურგის სასამართლომ მიიღო ერთადერთი სწორი, ღირსეული, სამართლიანი გადაწყვეტილება, როცა უარი უთხრა სააკაშვილს და სიცრუეზე აგორებული კამპანია დაასრულა ერთი გადაწყვეტილებით, გამოვიდნენ და ბოდიში მოიხადონ ყოველ დღე, ჩვენი ქვეყნის ინტერესების ღალატისთვის, ჩვენი ქვეყნის იმიჯის რეპუტაციის შელახვისთვის

❖ მჯერა, რომ ჩვენს ქვეყანას უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე მოწინააღმდეგე ევროპაში. ძალიან ბევრი ევროპელი ლიდერი წამყვანი ქვეყნების ჩართულნი არიან ამ პროცესში და ისინი მხარს გვიჭერენ, რომ წლის ბოლოს ქვეყანამ მიიღოს სტატუსი

❖ ჩემი ინიციატივით ჩვენ შარშან დავიწყეთ მასშტაბური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 800-მდე სკოლის სრულ რეაბილიტაციას ევროპული სტანდარტების მიხედვით, 1000-ზე მეტი ბაღის რეაბილიტაციას

❖ ჯერ ჩემი მინისტრობის დროს და შემდეგ ბატონი ჯუანშერის მინისტრობის დროს გრძელდება აქტიური აღმშენებლობა ჯარში. ჩვენ ყოველდღე ვაძლიერებთ ჩვენს საამაყო ქართულ ჯარს

❖ მსოფლიოში მთავრობის გამჭვირვალობის მიხედვით ჩვენი ქვეყანა მე-17 ადგილზეა, ამ ინდექსის მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ვინარჩუნებთ ლიდერის პოზიციებს

❖ საზოგადოებამ მოისმინა სანქციების კოორდინატორების შეფასებები, მათ თქვეს, რომ საქართველოს მთავრობა ეფექტიან კონტროლს ახორციელებს შექმნილია ეფექტური სისტემა, რომელიც მინიმუმამდე აზღვევს რისკებს, ჩვენ ამ პროცესში ვართ აბსოლუტურად პირნათელი, არც ერთი პასუხგაუცემელი კითხვა არ გვაქვს

❖ ჩვენს პარტნიორებს გავუზიარეთ ინფორმაცია, რომ 1300- მდე შემთხვევა გვაქვს იდენტიფიცირებული, რომ სწორედ მათი ქვეყნებიდან მოდიოდა სანქცირებული პროდუქცია, აქეთ ვეხმარებით ევროპელ მეგობრებს, რომ არ მოხდეს სანქცირებული პროდუქციის უკანონო რეალიზაცია

❖ ოპოზიცია გაიქცა პარლამენტის დარბაზიდან, შესაბამისად, ვიტოვებ უფლებას, რომ მათ აბსურდულ კითხვებს და მით უმეტეს, შეურაცხყოფებს არ გამოვეხმაურო

❖ როგორც სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ საქართველოს მთავრობა პირნათელი და მართალია, ხოლო სააკაშვილი და მისი ლობისტები არიან მტყუანი, ისე დასრულდა სანქციების გვერდის ავლის თაობაზე კამპანია საქართველოში ჩამოსული დელეგაციის წევრების განცხადებით

❖ დღეს მსოფლიო დგას ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხის წინაშე, რომ გამოდიხარ და ამბობ რომ ომი უნდა დაიწყო, ვის ინტერესებს ემსახურები საერთოდ, ვინ ხარ საერთოდ და როგორ ბედავ ამას?

❖ ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ვირჩევთ სტრატეგიული მოთმინების გზას და პოლიტიკას, რომელსაც თანმიმდევრულად მივყვებით. ვნახეთ, რომ ბოლო 10 წელია ამ პოლიტიკამ კონკრეტული შედეგი მოიტანა.

❖ სანამ გადავდგებოდი პრემიერ - მინისტრობის თანამდებობიდან 2015 წლის ბოლოს, აქტიური კომუნიკაცია მქონდა სხვადასხვა არხების გამოყენებით და სწორედ ჩემი ორგანიზებით, კოორდინაციით, აფხაზეთიდანაც, სოხუმის და ცხინვალის ციხიდან ყველა ქართველი, ყველა პატიმარი იქნა გამოშვებული

❖ ანარქისტული ორგანიზაციები შექმნეს, დაარქვეს „ფრანკლინის კლუბი“ რომ ახალგაზრდას ასოციაცია გაუჩნდეს ამერიკასთან და ბენჯამინ ფრანკლინთან, რეალურად კი ლევან რამიშვილის და „კმარას“ კლუბი იყო

❖ ერთ-ერთი გამომსვლელის შეურაცხმყოფელი განცხადება მოვისმინე ჩვენი მეგობარი პრემიერ ორბანის მიმართ, ეს არის დასაგმობი ფაქტი. ბატონი ვიქტორ ორბანი არის ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მეგობარი

❖ ჩემთვის მიუღებელია ბაღებში, სკოლებში ეს ლგბტ პროპაგანდა, ღიად გეუბნებით, მიუღებელია მეგობრებო, არ შეიძლება. ევროპაშიც და სამწუხაროდ ამერიკაშიც, რა ხდება, იცით თქვენც

❖ კითხვა დამისვეს რა შემთხვევაში შეიძლება გახდეს შესაძლებელი აფხაზეთის რკინიგზის აღდგენაო? ამაზე ერთადერთი პასუხი არსებობს - ჩვენი ქვეყნის გამთლიანების, გაერთიანების შემთხვევაში მხოლოდ

❖ მე მინდა ყველა ჩვენს მტრებს ვუსურვო მშვიდობა, ჯანმრთელობა, მათ შვილებს მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა პირველ რიგში, წარმატება, ბედნიერი მომავალი და ჩვენი ქვეყნის გამთლიანება

# გაკრიტიკების უფლება გაქვთ, მაგრამ ადამიანებს პირად ღირსებას არ უნდა ულახავდეთ!



**რამდენიმე დღის წინათ, პარლამენტში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება მოისმინეს. ირაკლი ღარიბაშვილმა დეპუტატებს სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიში გააცნო და ქვეყანაში გასული ერთი წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებსა და გამოწვევებზე ისაუბრა. პრემიერის გამოსვლას ოპოზიციის მხრიდან ტრადიციულად, ხმაური მოჰყვა.**

**ირალი ღარიბაშვილის წლიურ ანგარიშს პარლამენტში თადარიგის გენერალი, ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე აფასებს:**

— წლების განმავლობაში, ტრადიციულად, ერთსა და იმავე სურათს ვუყურებთ. ოპოზიციას, სამწუხაროდ, ან არ სურს ჰქონდეს კონსტრუქციული დამოკიდებულება კონკრეტული საკითხის მიმართ, ან არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია. ისეთი სპეციალისტიც კი, როგორიც რომან გოცირიძეა ფინანსებისა და ეკონომიკის დარგში, მანიპულირებს და, ფაქტობრივად, პოპულიზმითაა დაკავებული. არადა, მშვენივრად შეუძლია საკითხის დეტალურად განხილვა და გააჩნია იმის თეორიული ინსტრუმენტი, რომ ეკონომიკასა და ფინანსებზე კვალიფიციურად იმსჯელოს. ამით თვითონაც მოიგებს, მისი პარტიაც და საზოგადოებაც, მაგრამ პოპულიზმს ამჯობინებს. ზიზღისა და სიძულვილის ენის ავტორებს, რომლებიც ბოლო დროს განსაკუთრებით აგრესიულები გახდნენ და შეურაცხყოფის ახალი ტალღა დაიწყეს, რომლებიც ხელისუფლებას „რუსებს“ ეძახიან და ბანერებით დარბიან, უკვირთ, ტრიბუნიდან პასუხს რომ სცემენ და „გაუბედურებულებს“ უწოდებენ. რატომღაც უნდათ, რომ მთავრობის ხელმძღვანელი წარსდგეს პარლამენტის წინაშე თვითკრიტიკით, მათ შორის, ოპონენტების წინაშეც, და უარყოფით შედეგებზე ისაუბროს. ეს ხომ აბსურდია! შეიძლება შენი მინუსები იცოდე, მთავრობამაც იცოდეს, ხალხის ნაწილმაც, მაგრამ არცერთ ქვეყანაში არ მინახავს, რომ მთავრობის ხელმძღვანელი საკუთარი თვითკრიტიკით გამოვიდეს. ამისათვის ზის დარბაზში ოპოზიცია, რომ როცა მთავრობის მეთაური პროგნოზს და შეფასებებს აკეთებს, უნდა გააკრიტიკონ, შეუსწორონ, არგუმენტებით, კვალიფიციურად დაუმტკიცონ ყველაფერი და ამას დაინახავს საზოგადოება. ჩვენ ამ ოპოზიციის ხელში მსგავს ოპონირებას ვერ ვეღირსებით, უკვე 11 წელია, აღარ გვაქვს ამის ილუზია.

**— მოცემული ციფრები ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის შესახებ, არამხოლოდ ოპოზიციას, საზოგადოებასაც გადაჭარბებულად ეჩვენება. საიდან მოაქვთ ეს ციფრები?**

— პრემიერი საუბრობს იმ ციფრების, იმ ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, რომელიც მოჰყავს მსოფლიო ბანკს, სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციას და სტატისტიკის დეპარტამენტს და თუ რომელიმე ციფრი მცდარია, რა თქმა უნდა, უნდა გაუბათილოს კვალიფიციურად ოპოზიციამ, მაგრამ ისინი მარტივი გზით მიდიან და, მაგალითად, ამბობენ, რომ თუ სიღარიბე განახევრდა, მაშინ რატომ არიან ჩვენ გვერდით ღარიბები და რატომ იქექებიან ბუნკერში ადამიანები? ჯერ ერთი, არავის უთქვამს, რომ სიღარიბე დაძლეულია და მეორეც - ის, რომ ჩემი მეზობელი, ნათესავი და ნაცნობი ღარიბია, არგუმენტი არ არის. ეს არის იაფფასიანი პოპულიზმი. ბრმა არავინაა, უამრავ ადამიანთან მისაუბრია ამ თემაზე სოციალური ქსელით, პირადად ვხედავ



უამრავ ადამიანს, ვისაც, რბილად რომ ვთქვათ, სოციალური პრობლემები აქვს, მაგრამ საუბარია ეკონომიკური მაჩვენებების გაუმჯობესებაზე, რომ ტენდენცია მიდის ქვეყანაში გაჭირვების შესამცირებლად და იმიტომ გავაკეთე აქცენტი ოპოზიციის როლზე, რომ თუ აქვთ უკეთესი რეცეპტი თვითონ, წარმოადგინონ და დაგვანახვონ, არამხოლოდ წლიური ანგარიშების დროს - გადაცემების, მედიის თუ სოციალური ქსელების მეშვეობით და კვალიფიციურად დაეხმარონ ხელისუფლებას. როგორც უნდა ეძებოთ, ვერ იპოვით ვერცერთ ნორმალურ კვლევას, ნორმალურ წინადადებას, ნორმალურ ოპონირებას... ვერცერთ სივრცეში, ესაა პრობლემა!

— **„თუ ისინი არ მიანიჭებენ საქართველოს სტატუსს, ეს იქნება მორიგი სტრატეგიული შეცდომა“, - განცხადა პრემიერმა ევროპელი პარტნიორების მისამართით... მაინც, რა პრივილეგია გვექნება სტატუსის მიღების შემთხვევაში?**

– მთელი პრივილეგია ამ სტატუსის, ისევე, როგორც ევროპული პერსპექტივისა (დიდად არაფრით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან), არის აღიარება. არცერთი არ აწესებს ვადებს, თუ რამდენ ხანში შეიძლება გახდეს საქართველო ევროკავშირის წევრი და არცერთი არ იძლევა ფინანსურ ბენეფიტებს. თუმცა, როგორც კანდიდატობა, ასევე, ევროპული პერსპექტივა, რა თქმა უნდა, დიდი სიგნალია იმისათვის, რომ საქართველოში ბიზნესი აწარმოონ. მანამდეც იყო ეს განწყობები საქართველოს მიმართ და კიდევ უფრო გამყარდება. რა თქმა უნდა, ეს პოზიტივია, მაგრამ ჭარბი მოლოდინები არ უნდა შევიქმნათ. არც იმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდისს მოგვცემენ სტატუსს. პირველ რიგში, ის მაქსიმუმი უნდა შევასრულოთ, რაც საკმარისია ევროკავშირის წევრობისთვის, მეორე, ევროკავშირი უნდა იყოს მზად პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად.

გასულ წელს მიიღეს აბსოლუტურად უსამართლო გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის მიმართ. რა მიზნები ამოძრავებდათ, ამაზე თითოეულ ჩვენგანს საკუთარი მოსაზრება გვაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ მათივე შეფასებით, რის მიხედვითაც საქართველო მზად იყო სტატუსის მისაღებად, დაადასტურეს, რომ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღეს. თუ ასე არ არის, მაშინ გააბათილონ, თავიანთი შეფასება, მაგრამ როგორ უნდა გააბათილო, როდესაც ივნისში უარყოფით გადაწყვეტილებას იღებ და შემდეგ, რამდენიმე თვეში, აქვეყნებ შედეგებს, რომ თურმე, საქართველო, ყველა პარამეტრით ლიდერი იყო ამ ასოცირების ტრიოში. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდეც ლიდერი იყო საქართველო, ხომ ყველამ ვიცით! ამოიღონ ევროკავშირის ლიდერების შეფასებები, მათ შორის, ომამდე ერთი თვით ადრე გაკეთებული, უკრაინაში, რა განცხადებებს აკეთებდნენ! არ გვინდა უკრაინასა და მოლდოვაზე საუბარი, ყველაფერი დაწერილია შავით თეთრზე, სავსეა ინტერნეტი ძველი განცხადებებით. ეს არის შეცდომა უსამართლობის თვალსაზრისით. ვის ინტერესებში შედიოდა, რომ საქართველოს ვერ მიეღო კანდიდატის სტატუსი, ვინ მოიგო და ვინ წააგო ამით?! წააგეს საქართველომ და ევროპამ. მოიგო მხოლოდ ერთმა ქვეყანამ და იმ დესტრუქციულმა ძალებმა, ვისაც ამ საკითხზე დაპირისპირებები ხელს აძლევს.

მსგავსი შეცდომები ადრეც დაუშვიათ ევროპას და ნატო-ს, მათ შორის, ნატო-ში ჩვენს გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ჩვენ გვახსოვს განცხადებები, როდესაც ამბობდნენ, რომ ველოდებით უკეთეს დროს, რომ პროგრესი სახეზეა, მაგრამ ნატო-ში გაწევრიანებისთვის საჭიროა პოლიტიკური დრო. თუ ეს ასე იყო და ელოდებოდნენ უკეთეს დროს, როდესაც რუსეთს არ გააღიზიანებდნენ და ეს მასთან დაპირისპირებას არ გამოიწვევდა, ახლა უკვე დაპირისპირებულები არიან და ამაზე „უკეთესი დრო“ რაღა უნდათ? თუ, როგორც უკრაინას ეუბნებიან, რომ ჯერ გაიმარჯვოს და მერე დადგება ნატო-ში მისი გაწევრიანების საკითხი, - თუკი ამხელა მონსტრი, რუსეთი დაამარცხა უკრაინამ, ვის წინააღმდეგ სჭირდებათ ნატო-ს წევრობა? გასაგებია, უკრაინა ომშია და ომში მყოფ ქვეყანას ვერ მიიღებენ, მაგრამ როგორც შვედეთსა და ფინეთთან დაკავშირებით მიიღეს სწრაფად გადაწყვეტილება, რა უშლით ხელს, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხიც ასევე სწრაფად გადაწყვიტონ? როგორც ჩვენზე პატარა სახელმწიფოებს ესტონეთს, ლატვიას და ლიეტუვას ვერაფერს უშავებს რუსეთი, ასევე ვიქნებოდით დაცული ჩვენც მისი აგრესიისგან. ეს არის ძალიან დიდი შეცდომა და უსამართლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე...

ამ ყბადაღებული პოლარიზაციის შემცირებისკენ რომ მოგვიწოდებენ, ვინც პოლარიზაციის გაღრმავების ინიციატორი და გენერატორია, კარგად ხედავენ და თუ მისი შეჩერება რეალურად სურთ, მაშინ სტატუსი უნდა მოგვანიჭონ!

– **რა იქნება იმის შემდეგ, თუკი ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მოგვანიჭებენ?**

– შემდეგ დადგება მეორე საკითხი, უკრაიანსა და მოლდავსთან დაიწყებენ მოლაპარაკებებს გაწევრიანების თაობაზე - ესეც ხომ მრავალწლიანი საღეჭი რეზინია - ჩვენთან არ დაიწყებენ და ამას მოჰყვება იგივე, რომ უკრაინისა და მოლდოვის მიღება უნდათ, ჩვენი კი არა, რომ ჩვენი ხელისუფლება არის „პრორუსი“ და ა.შ...

– **პრემიერის განცხადებას ლგბტ პროპაგანდის თაობაზე დარბაზში ოპოზიციის გარკვეული ნაწილის გაღიზიანება მოჰყვა, რის შემდეგაც ანა ნაცვლიშვილმა ყოვლად უღირსი განცხადებით მიმართა ირაკლი ღარიბაშვილს...**

– არ მოვერიდები იმის თქმას, რომ ანა ნაცვლიშვილის გამოსვლა იყო აღვირახსნილი, ამორალური და ყოვლად უმსგავსო, რასაც სხვა სიტყვებს ვერ შევუსაბამებ. აქ არ არის საუბარი მხოლოდ იმაზე, რომ შვილებს არ უნდა შევეხოთ... მათგან ვეღარაფერი გაგვაკვირვებს. აქ სხვა რამ არის ხაზგასასმელი. **კითხვას სვამს ადამიანი და ეკითხება მამას, მშობელს, ქართველ კაცს, რომ ის უნივერსიტეტი, სადაც მისი შვილი სწავლობს, ლგბტ თემთან სიახლოვითაა ცნობილი და არ გეშინიათ, რომ თქვენი შვილიც გადაიბირონო? ეკითხებიან ადამიანს, რომლის დამოკიდებულებაც ამ საკითხზე კარგად იციან...** ეს შეგინებაზე უარესია, ისე, როგორც ანა ნაცვლიშვილზე უარესია მისი პარტია, მთელი კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ და მთელი ეს ენჯეოები, რომლებიც მათი დაქვემდებარებისა და გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ერთ ადამიანს არ გაუპროტესტებია ნაცვლიშვილის გამოსვლა მათი მხრიდან. შეიძლება მომწონდეს ვიღაც, **ან არ მომწონდეს, ვეთანხმებოდე, ან ვეწინააღმდეგებოდე, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ქართველი კაცები არიან ხაზარაძე და ჯაფარიძე - ქართველი მამაკაცები, ქართველობაზე დებენ თავს და მათი პარტიის წევრი რომ გამოდის და ასეთ უმსგავსობას ეუბნება მამას - ერთი სიტყვითაც არ უთქვამთ, რომ ამ ყოვლად შეუწყნარებელ გამოსვლას ემიჯნებიან, სოციალურ ქსელშიც კი არ გაუპროტესტებიათ ნაცვლიშვილის ეს ამორალური გამოსვლა. ესაა პრობლემა, თორემ, საზოგადოებამ კარგად დაინახა ყველაფერი და აღარც ანა ნაცვლიშვილისა და მისი კოლეგებისგან გვიკვირს რამე... თამარ კორძაიამ თქვა თავის გამოსვლაში,** რომ „სიტყვიერი და ვერბალური თავდასხმა და ძალადობა“ არის თურმე სიტყვის თავისუფლება! - სიტყვის თავისუფლება არის ხელისუფლების კრიტიკა და არა დედის გინება. ჯერ კიდევ 50 წლის წინათ არამხოლოდ სიტყვის თავისუფლება იყო აკრძალული ევროპაში, ადამიანის უფლებებიც უხეშად ირღვეოდა თუნდაც რასობრივი კუთხით. ამიტომაც დაიწყო მსოფლიომ ამ მიმართულებით მუშაობა, რასაც საუკუნეები დასჭირდა. ხელისუფლების თამამად გაკრიტიკების უფლება უნდა გქონდეს, მაგრამ დედას კი არ უნდა აგინებდე, ოჯახს კი არ უნდა ულანძღავდე და პირად ღირსებას კი არ უნდა ულახავდე ადამიანებს, საქართველოა, ბოლოს და ბოლოს!.. ყველაფერს აკეთებენ საზოგადოების პოლარიზებისთვის და სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი ადამიანების კიდევ უფრო დასაშორებლად, რითაც უნდათ, რომ როგორმე ამოაყირავონ ხელისუფლება. მათ არ შეუძლიათ ჯანსაღი კრიტიკა, რადგან ჯანსაღი კრიტიკა რომ შეძლოს, ადამიანი თავადაც ჯანსაღი უნდა იყოს!

**ნონა ქარქაშაძე**

# პრიგოჟინის ბელორუსში ყოფნა ნატოს შეშფოთებას იწვევს



*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი **დიმიტრი ლორთქიფანიძე:***

**— ბატონო დიმიტრი, რუსეთში მომხდარი მოვლენა შეიარაღებულ ამბოხად შეფასდა. გაჟღერებული ინფორმაციით, რუსეთში ამის შესახებ იცოდნენ, მაგრამ პუტინი არ გააფრთხილეს, რადგან ამბოხის მოწყობა აწყობდათ. რა მოხდა რეალურად?**

— საქმე ისაა, რომ პრიგოჟინი შემთხვევითი პირი არ არის, იგი ყოველთვის პუტინის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. პრიგოჟინის კომპანია „კონკორდი“ რუსეთში სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების, მათ შორის, არსებული სამხედრო ნაწილების კვებით მომარაგებას უზრუნველყოფდა, რაც კოლოსალურ შემოსავლებთან არის დაკავშირებული. შემდგომ, კერძო სამხედრო კომპანია შეიქმნა, რასაც თავისი საფუძვლები და მიზეზები ჰქონდა — პირველ რიგში, ეს იყო აფრიკის კონტინენტზე, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის გავლენების განმტკიცებისთვის ბრძოლა. აქ რუსეთის ფედერაციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა, რათა ფერადი რევოლუციები, „არაბული გაზაფხული“ სირიისთვის საბედისწერო არ გამხდარიყო. ეს კერძო სამხედრო კომპანია კსკ „ვაგნერი“ რუსეთის ავანგარდში იყო. სხვათა შორის, სახელწოდება — „ვაგნერი“ სიმბოლურია. ამის შესახებ არსად დაწერილა, უბრალოდ, მე ვფლობ ამ ინფორმაციას. ფრენსის ფორდ კოპოლას ფილმში „აპოკალიფსი ახლა“, სადაც მარლონ ბრანდო მთავარ როლს ასრულებს, ასეთი სიუჟეტია: კერძო სამხედრო კომპანია ერთ-ერთი კუნძულის დაბომბვას ვერტმფრენების ესკადრილიის თანხლებით იწყებს, რაც ვაგნერის მუსიკის ფონზე ხდება. საომარი მოქმედებები ვაგნერის მუსიკის ფონზე მიმდინარეობს. აქედან წამოვიდა ამ სახელწოდების ინსპირაცია. ახლო აღმოსავლეთის გარდა, კსკ „ვაგნერის“ გავლენა დიდი იყო აფრიკის კონტინენტზე. მას არნახული შემოსავლები გააჩნია. „ვაგნერის“ პირად შემადგენლობაში, დაახლოებით, 65-ათასი კბილებამდე შეიარაღებული, გამოცდილი მებრძოლია, მათ შორის, 25 ათასი აქტიური პირი. ამას იმიტომ გიყვებით, წარმოიდგინოთ, რამდენად აბსურდულია ვიფიქროთ, თითქოს საკუთარმა ნაშიერმა, პირმშომ — ვაგნერმა რუსეთის ინტერესების, მისი საპრეზიდენტო მმართველობის წინააღმდეგ გაილაშქრა და დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. არა, ბატონებო! ასე ნამდვილად არ ყოფილა. ეს გეოპოლიტიკით იყო განპირობებული — უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა რუსეთში ძალაუფლების კონსოლიდაციის საჭიროება დააყენა. ყველაფერი პოლიტიკური პროცესის უზრუნველყოფისთვის გაკეთდა. ამ „აჯანყებამდე“ პრიგოჟინმა 2023 წლის მაისში უკრაინის ქალაქ ბახმუტის აღების შესახებ განაცხადა. იგი თავდაცვის მინისტრს შოიგუს და გენერალური შტაბის ხელმძღვანელს გერასიმოვს პირდაპირ დაემუქრა. შემთხვევით არც ეს მომხდარა. ყველაფერი სწორედ იმ პირთა წინააღმდეგ იქნა მიმართული, რომლებიც გარკვეული ხნის მერე აუცილებლად შეიცვლებიან. პრეზიდენტის ხელთ არსებული ძალაუფლების კონსოლიდაციის გაზრდის ერთ-ერთი მთავარი პირობა მისი გარემოცვის გადახალისება, პირველ რიგში კი, ძალოვანი სტრუქტურების წმენდაა. **რა მიზანი იქნა მიღწეული ამ „აჯანყებით“? — ვაგნერმა რუსეთის ფედერაციაში გარკვეული პოლიტიკური პროცესის გადახალისების, განახლების უმნიშვნელოვანესი როლი შესანიშნავად ითამაშა**. თავად კი ნავსაყუდელი ბელორუსში ჰპოვა. შემთხვევითი არც ისაა, რომ ბელორუსში გარკვეული ბანაკების მშენებლობა უკვე დაწყებულია. დღესაც უკრაინა-ბელორუსის საზღვართან 200კმ-ში ახალი ბანაკების მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს. ანუ, ვაგნერის მთელი შემადგენლობა ბელორუსში გადავიდა. როცა ვაგნერი ვორონეჟის მიმართულებით დაიძრა, გზაში მყოფ პრიგოჟინს ლუკაშენკო დაუკავშირდა, მათ შორის გამართული მოლაპარაკება კონკრეტული შეთანხმებით დასრულდა. შედეგად, პრიგოჟინმა, თითოეულმა ვაგნერელმა ხელშეუხებლობის გარანტია მოიპოვა. მეტიც, ვაგნერმა ახალი ფუნქცია შეიძინა — იმ საფრთხეების განეიტრალება, რაც ბელორუსს, როგორც რუსეთის სამოკავშირეო სახელმწიფოს, მისი დასავლეთი საზღვრებიდან, კერძოდ, პოლონეთიდან ემუქრება. არსებობს მოსაზრება — უკრაინული კონტრშეტევის ერთ-ერთი გაგრძელება შესაძლოა, პოლონეთის მხრიდან ბელორუსის მიმართულებით იერიშის მიტანა იყოს. სწორედ ამ ბუფერად იყენებენ გამოცდილ საბრძოლო შენაერთს — ვაგნერს, რომლის ბრძოლისუნარიანობას და შესაძლებლობებს უკრაინული ოფიციოზიც კი აღიარებს. მეორე ვერსიის თანახმად, გამორიცხული არ არის, ბელორუსმა იერიში კიევზე მიიტანოს.

„საერთო გაზეთთან“ საუბრისას ადრეც ვახსენე, რომ 24 თებერვალს დაწყებული სპეციალური სამხედრო ოპერაცია სამ ძირითად ფრონტად იყოფა, მათგან გააქტიურებულია აღმოსავლეთ უკრანის ფრონტი. თუმცა დარჩენილ ორ გლობალურ ფრონტზე თავმოყრილია ათეულობით ათასი რუსი ჯარისკაცი, სადაც ჯარი უმოძრაოდაა. ესენია ყირიმის ნახევარკუნძული და ბელორუსი. ყირიმში დგას გენერალ კიმის 170-ათასიანი კონტინგენტისგან შემდგარი არმია. ასევე, სრულ მზადყოფნაშია ბელორუსის და რუსეთის შტაბი, რომელსაც ვაგნერის 30-ათასკაციანი შემადგენლობა დაემატა. უკვე ვახსენე ბელორუსის მიერ კიევზე იერიშის მიტანის შესახებ, რაც ომის დასაწყისში ერთხელ უკვე ვნახეთ, როცა ბრძოლები ბუჩასა და ირპენის მიმართულებით გაიმართა. ბრძოლამ შემდგომ უკრაინის აღმოსავლეთით გადმოინაცვლა. რუსეთის სტრატეგიული მიზანი დნეპრისპირეთამდე მიღწევაა. ამისთვის საჭიროა ნიკოლაევისა და ოდესის ოლქების აღება და ჯარების დნეპრისპირეთის მიმართულებით გადასროლა. ამ შემთხვევაში მთელი უკრაინა ოპერატიულ ალყაში აღმოჩნდება. ეს დღის წესრიგი ჯერ არ მოხსნილა. ამ ეტაპზე აღმოსავლეთ ფრონტზე არმიის დაღლის პროცესს და მის მიერ მიღებული აღჭურვის ახალი მარაგების ამოწურვისთვის ბრძოლას ვადევნებთ თვალს. წისქვილის მსგავსად, სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურა ნელნელა იფქვება, რათა უკრაინული არმია გამოიფიტოს. რაც შეეხება რუსეთის სამმილიონიან ოპერატიულ და 18-მილიონიან სამობილიზაციო რეზერვს, ის გაცილებით აღემატება უკრაინული საჯარისო რეზერვის რესურსებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხრიდან ადამიანური დანაკარგები დიდია, ჯერჯერობით რუსული ოპერატიული რეზერვის მხოლოდ ერთი მეათედია გახარჯული. მაშინ, როცა საომარ ვითარებაში უკრაინული არმიის სრული შემადგენლობა იღებს მონაწილეობას და მისი დაახლოებით 70% აღმოსავლეთის ფრონტის მიმართულებით არის დისლოცირებული. ეს იმაზე მეტყველებს, რომ აღმოსავლეთ მიმართულებით რაც უფრო გაიწელება ომი, მტერს მით მეტი ოპერატიული რეზერვის გადმოტყორცნა დასჭირდება. მიზანი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებების დასუსტებაა, რა დროსაც შესაძლოა, რუსეთის მხრიდან დანარჩენი მიმართულებებით გადამწყვეტი შეტევა დაიწყოს. ამიტომაც, ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიანი შენაერთისთვის — ვაგნერისთვის ახალი დისლოკაციის ადგილი — ბელორუსი შეირჩა, ხოლო ბატონი პრიგოჟინი ლუკაშენკოს საპატიო სტუმარია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრიგოჟინის ბელორუსში ყოფნა ნატოს შეშფოთებას იწვევს, რადგან ნატოს ანალიტიკური სამსახურები აცნობიერებენ, თუ რას ნიშნავს ბრძოლაში გამოცდილი ათეულათასიანი შენაერთის უკრაინის საზღვართან განთავსება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ აღმოსავლეთის ფრონტის სიგრძე ათასი კილომეტრია. ამას ემატება ახალი ფრონტის ხაზი, რამაც შეიძლება კიევიდან ლვოვის მიმართულებით უკრაინა-ბელორუსის საზღვრის პერიმეტრი მოიცვას. აქ მთავარი შემტევი შეიძლება ვაგნერი აღმოჩნდეს. ამიტომ ნატოს შეშფოთება უსაფუძვლო არ არის.

**— გავრცელდა ინფორმაცია სუროვიკინის დაკავების შესახებ. დაკავებების სერია გაგრძელდება?**

— დიახ, ეს შესაძლებელია. ყველა საეჭვო პირს, რომელიც რუსეთის ძალაუფლების ვერტიკალზე 100%-იანი კონტროლის ქვეშ არ არის, უბრალოდ, პროცესს ჩამოაშორებენ. რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის რეპრესია გამართლებული იქნება იმ პირების მიმართ, ვისაც ყველაზე მეტად ეშინია, რომ პუტინის ძალაუფლება უფრო მეტად არ გაძლიერდეს. არადა, ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდის — პრიგოჟინის „აჯანყებაც“ სწორედ პუტინის გაძლიერების მექანიზმი იყო და არა დასუსტებისა, რასაც ჩვენი ე.წ. პოლიტოლოგებისგან ვისმენთ. გია ხუხაშვილმა თავი მოიჭრა, ისეთი სისულელეები დაახეთქა. მერე პოსტი წაშალა და ბოლოს აღიარა, რომ პროგნოზში შეცდა. დიახ, ვერავინ წარმოიდგენდა, საით იყო ეს თამაში მიმართული. ასე რომ, **„აჯანყების“ საბოლოო მიზანი პუტინის ძალაუფლების განმტკიცება იყო და არა მისი მორყევა**. შესაბამისად, პრიგოჟინი პუტინის ძალაუფლებასთან განხეთქილებაში არ ყოფილა.

აქვე, აღვნიშნავ, რომ რუსეთში ქაოსი, რაც ასე გაუხარდა ოპოზიციას, საქართველოში გარდაუვალ ომს გამოიწვევს. განსაკუთრებით, მის სამხრეთ რეგიონში. ყველამ ვიცით რომ **ჩრდილოეთ კავკასია საკმაოდ რეაქციული, რევანშისტული ძალებით არის სავსე, რომელთაც ადრე თავი კავკასიურ ხალხთა კონფედერაციად დაგვამახსოვრეს. ბევრი მათგანი ჩვენს წინააღმდეგ აფხაზეთში იბრძოდა. შესაბამისად არც ხვალინდელი დღე იქნება გამონაკლისი. ეს საქართველოს წინააღმდეგ ტოტალური ლეკიანობა იქნება**. ამიტომ რუსეთში ქაოსი ჩვენთვის წარმოუდგენლად დაუშვებელია. მნიშვნელოვანია, რომ დღეს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დათბობა დაიწყო. ამან სამომავლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე გარდაუვალი დადებითი გავლენა უნდა იქონიოს. მათი დანარჩენ საქართველოსთან რეინტეგრაცია, გარდაუვალია.

**— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პირობად ზელენსკის რუსეთის დამარცხება მიაჩნია...**

— ეს ომის რიტორიკაა, რომელიც ილუზორულად არის შეფუთული. რეალპოლიტიკის ჭრილში ეს უტოპიაა, რადგან საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში თუ ჩაებმება, ეს მისთვის წარმატების მომტანი ნამდვილად არ იქნება. ამ ეტაპზე ჩვენ გვჭირდება არა ომი, არამედ ეკონომიკური მომძლავრება, რათა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უზრუნველვყოთ. დასავლეთს მეორე ფრონტის გახსნის სურვილს ვერ დავუკმაყოფილებთ. საკმარისია, რა პროვოკაციებზეც აქამდე წამოგვაგეს. ჩვენი ქვეყნის სტრატეგია სწორი და უალტერნატივოა. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და პრემიერ-მინისტრს, რომელიც ძალიან სარისკო, საპასუხისმგებლო, მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს, რათა საქართველოს კონფრონტაცია თავიდან აცილოს, გამძლეობა, სიბრძნე, წინსვლა და გამარჯვება ვუსურვო. მისი სწორი, ბრძნული პოლიტიკის შედეგია, რომ საქართველო საგარეო პოლიტიკური ვექტორის მოძიებისა და განვითარების კუთხით ძალიან მნიშვნელოვან ქმედებებს ახორციელებს. საჭიროა, ახალი ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, რათა მაქსიმალურად დასუსტდეს გლობალური ძალების რჩეული 15 გეოპოლიტიკური პარტია, რომელთაც გეიმეორანდუმს ხელი მოაწერეს. მათი გეგმები ჩაიფუშა. ეს ოპოზიცია დღეს გამარგინალებული ძალაა. ქართული პოლიტიკური ლანდშაფტი ეროვნული ძალებით რომ გაჯერდება, უკვე შევეძლება დანამდვილებით ვთქვათ, რომ მრავალპოლარული საგარეო პოლიტიკა ქვეყნის მთავარი უპირატესობა იქნება.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საქართველო ჩვენი სამშობლოა



*საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი „საერთო გაზეთთან“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აფასებს:*

**ალი ბაბაევი:** – ირაკლი ღარიბაშვილის ყოველწლიური მოხსენებით წარდგენის შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ პატრიოტი პრემიერ-მინისტრი გვყავს, რომელსაც ნამდვილად ადარდებს საქართველოს ბედი, ნამდვილად ფიქრობს ქვეყნისა და ხალხის მომავალზე. მომწონს მისი ხედვა ქვეყნის სუვერენიტეტის შესახებ და მისი დამოკიდებულებები გარე თუ შიდა გამოწვევების მიმართ.

თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ უსამართლობას ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მხრიდან, რომ გასულ

## ეთნიკური უმცირესობის ნებისმიერ წარმომადგენელს: საქართველო ჩვენი სამშობლოა, ეს ქვეყანა ყველასია და ამიტომაც დავუდგეთ გვერდით ჩვენს ქვეყანას

წელს სრულიად დაუმსახურებლად არ მოგვანიჭეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, უკვე ეჭვი მიჩნდება, სამართლიანად მივისწრაფვით თუ არა, ამ გაერთიანებისკენ. წლების განმავლობაში გულითა და სულით გვინდა ევროპულ ოჯახში გაწევრიანება, ევროპული ცივილიზაცია, მაგრამ მათი მხრიდან ყოველ ჯერზე უსამართლო გადაწყვეტილებას ვაწყდებით და გვიპყრობს უიმედობა - ღირს თუ არა ეს ნამდვილად!

საქართველოს რამდენი მოქალაქე დაიღუპა ავღანეთში, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი რამდენი ვაჟკაცი წავიდა სამშვიდობო მისიებში! ყველაზე პატარა ქვეყანა ჩვენ ვართ და ყველაზე დიდი კონტინგენტი იყო წასული საქართველოდან წასული ავღანეთსა და სხვა ქვეყნებში. ყველაზე დიდი მსხვერპლიც ჩვენ გავიღეთ. ეს ჩვენი „მეგობრები“ კი, იმის მაგივრად, რომ მხარი დაგვიჭირონ და სტიმული მოგვცენ, თითს გვიქნევენ.

სამწუხაროა, რომ საგარეო პოლიტიკაში დიდი წნეხი გვაქვს უცხოელი პარტნიორების, ვითომ მეგობარი ევროპარლამენტარებისა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ზოგიერთი სენატორის მხრიდან, რომლებიც ჩვენს კულტურას, ეროვნულობას და ტრადიციებს პატივს არ სცემენ და ცდილობენ, ისეთი მოთხოვნები წამოგვიყენონ, რაც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ესენი არიან ყოფილი ხელისუფლების მიერ მოსყიდული ადამიანები, რომლებსაც ძალიან დიდი ფული აქვთ აღებული და დღემდე ამ დესტრუქციულ ძალას ლობირებენ. „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც წლების განმავლობაში ატერორებდა თითოეულ ოჯახს საქართველოში, ქვეყნის მტრობას ისევ აგრძელებს, რადგან ვერ გადაუტანია, რომ „ქართული ოცნება“ ასე წარმატებით ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას.

**– ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და კიდევ ერთხელ გაანაწყენა თავისი ამომრჩეველი. როგორც მახსოვს, თქვენ მისი აქტიური მხარდამჭერი იყავით. ახლა როგორ შეაფასებდით მის მოღვაწეობას?**

– ჩვენი ხელისუფლების ძალიან დიდი დამსახურებაა, რომ შინაური თუ გარეშე მტრების სიმრავლის მიუხედავად, ქვეყნის წინსვლა და სტაბილური განვითარება გრძელდება. როცა „ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ“ გაიმარჯვა, ჩვენი მთავარი მიზანი იყო სამართლიანობის აღდგენა და ქვეყნის სტაბილური განვითარება, გარკვეულწილად, ამას მივაღწიოთ და დღემდე არჩეული გზით მივდივართ, რაც „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის და მის მიერ ჩამოყალიბებული გუნდის დამსახურებაა. თუმცა, მმართველ გუნდს ჰქონდა სერიოზული შეცდომები, რის შედეგებსაც დღემდე ვიმკით.

უკვე ორჯერ ავირჩიეთ ისეთი პრეზიდენტი ქვეყანაში, ვინც ქვეყნის ინტერესების საზიანოდ დაიწყო მოქმედება და ამომრჩეველთა იმედი არ გაამართლა, ორივემ გვიღალატა... ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, რომლის გამარჯვებისთვისაც ძალიან დიდი ენერგია დავხარჯეთ თითოეულმა ჩვენგანმა, ახლა გამოდის და ამბობს, რომ არავის უსმენს, მხოლოდ საკუთარი ნებით მოქმედებს და ქვეყნის საზიანო ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს იღებს. როცა ის პრეზიდენტი ხდებოდა, ამომრჩეველს მისცა სიტყვა, რომ მათ ინტერესებს დაიცავდა, რეალურად კი ამის საპირისპირო ქმედებები დაიწყო - შეიწყალა კრიმინალი უგულავა, შემდეგ რურუა, ახლა კი ავანტიურისტი ნიკა გვარამია გაათავისუფლა... გამოდის, რომ ამომრჩევლის აზრი მისთვის არაფერს ნიშნავს...

ასევე, ორჯერ შევცდით პრემიერ-მინისტრის შერჩევის შემთხვევაშიც. გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერად დანიშვნის შემდეგ, შემოასხია „ქართულ ოცნებაში“ პორტირებულები და ის ადამიანები ჩამოიშორა, ვინც წლების განმავლობაში ერთგულად მათ გვერდით იდგა. შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ეს იყო დიდი შეცდომა. ასეთივე შეცდომა დავუშვით, როდესაც პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარია ავირჩიეთ, ვინც დიდი დარტყმა მიაყენა გუნდს სწორედ იმ მომენტში, როცა ქვეყანას მისი სწორი გადაწყვეტილებები სჭირდებოდა.

**– ბოლო დროს ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელზე თავდასხმა განხორციელდა. რადიკალები დღემდე განაგრძობენ იმ ღირებულებების შეურაცხყოფას, რაც ქართველი ხალხისთვის ძვირფასია, მაგრამ ძალადობას ძალადობით ვერ მოვერევით...**

– თერთმეტი წლის განმავლობაში, ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი ერთი კანონპროექტიც არავის უნახავს, რაც ქვეყნის განვითარებას წაადგებოდა, სამაგიეროდ, უტიფრად ცრუობენ, ილანძღებიან, ევროპარლამენტარების კაბინეტებში დარბიან და სთხოვენ ევროპელებს, რომ ჩვენს ქვეყანას სტატუსი არ მისცენ... შემდეგ კი, როცა მათ პროვოკაციულ შეკითხვებს პასუხს სცემს პრემიერი, მელასავით იპარებიან დარბაზიდან. დღეს რომ მართლმადიებლობის და პატრიარქის წინააღმდეგ გამოდიან ეს „ენჯეოებისგან“ დაფინანსებული ლიბერალები, მე ისლამის წამომადგენელი ვარ და ჩემს ინტერესებს ვინღა დაიცავს, როცა თავიანთ ტრადიციულ სარწმუნოებას შეურაცხყოფენ? როგორც მართმადიდებლობას შეუტევენ, ისე შემოგვიტევენ მუსლიმებსაც!

ამ ქვეყნის მავნებლებს, რომლებსაც უნდათ, რომ ქვეყანა დააქციონ, კიდევ პრეტენზია აქვთ, ჩვენზე ძალადობენო?!. მათი პარტიის თავმჯდომარე ჯერ გარდაბანში ჩავიდა და დადგა სცენარი, შემდეგ კასპში და იქაც იგივე გაიმეორა... რატომ არ ფიქრობს ეს ხაბეიშვილია თუ ვიღაც, რომ კარგად ახსოვს ხალხს, რასაც აკეთებდა მისი გუნდი და აღიზიანებთ მათი დანახვა. იქ რომ ვყოფილიყავი, მეც გავცემდი საკადრის პასუხს და თუ საჭირო გახდებოდა, ფიზიკურადაც გავუსწორდებოდი! როგორ ბედავენ, რომ მიდიან ხალხთან და მათთან საუბარი უნდათ, როდესაც წლების განმავლობაში ამ ხალხს ატერორებდნენ, ბიზნესებს ართმევდნენ, ახლობლებს უხოცავდნენ და უპატიმრებდნენ უმიზეზოდ... ხალხი ბრძენია, ხალხი ყველაფერს ხედავს!

**– ბატონო ალი, პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ მოუწოდა ევროპას, რომ ამჯერად მაინც აღარ დაუშვან შეცდომა და კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მოგვანიჭონ. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ ამ საკითხთხთან დაკავშირებით?**

– მე პირადად, როგორც საქართველოს მოქალაქე, როგორც პოლიტოლოგი, ღიად ვაცხადებ: თუკი ჩემი უფლებები არ იქნება დაცული, თუკი ჩემი ქვეყნის ტრადიციების უგულებელყოფას მაიძულებენ, არ მინდა ასეთი ევროპა!

ევროპის ცენტრში უკვე რამდენჯერმე დაწვეს საჯაროდ ყურანი, რამაც მთელი მუსულმანური სამყარო აღაშფოთა. კიევში მართლმადიდებლურ ეკლესიას რომ ანგრევენ და ამ ყველფერს ცივილიზებული ევროპა აკეთებს, ნუთუ ასეთი ქაოსი გვინდა ჩვენ?! - ჩვენ გვინდა მშვიდი, სტაბილური ქვეყანა, და არა ლიბერალური ძალები, ვისაც არაფერი ტრადიციული არ აინტერესებს. ტოლერანტობას რომ გვასწავლიან ევროპელები, ტოლერანტობა აქ უნდა ისწავლონ თავად, ჩვენთან, საქართველოში. ჯერ ნახონ, როგორ ცხოვრობს ამდენი ეროვნება ერთად, ერთ ოჯახად, საუკუნეების განმავლობაში და მერე გველაპარაკონ ტოლერანტობაზე. ჯერ თვითონ ისწავლონ და მერე გვასწავლონ!

ახლახან სარფში ვიყავი, სტუმარს უნდა დავხვედროდი და ვხედავ, ამდენი ადამიანის თვალწინ, ვიღაც უცხოელი კუპალნიკით დატანტალებს. ამაზრზენი დასანახი იყო ნამდვილად. ასეთი ქვეყანა უნდათ ჩვენთვის, სადაც ტიტველი ქალები და კაცები კონცერტებს ატარებენ, მაგრამ ეს საქართველოა და - არ გამოვა! მე არ მინდა ისეთი ქვეყანა, სადაც ადამიანები შიშვლები ირბენენ და თავს ყველაფრის კეთების უფლებას მისცემენ. მე არ მინდა, კოლექტიური „ანა ნაცვლიშვილები“ მართავდნენ ჩემს ქვეყანას და უცხო ქვეყნიდან მომაწოდებდნენ, როგორ უნდა მოვიქცე...

ხშირად ვმგზავრობ მეტროთი და ავტობუსით და ვხედავ, რომ თანდათან დაიკარგა ფეხმძიმე ქალის, მოხუცისა და ბავშვისადმი თანაგრძნობა და პატივისცემა. ისე სხედან ტელეფონებში თავჩარგული ახალგაზრდები, თითქოს მათ წინ მდგომ მოხუცს ვერც ხედავენ. ასე ასწავლა „ევროპამ“, რადგან ბილეთი იყიდე, ეს ადგილი შენია! ქალის, მოხუცის, ბავშვის პატივისცემა ძირძველი კავკასიური ტრადიციაა და სად გაქრა ის, რა დაემართა, როდის და როგორ ჩაყლაპა ამ ე.წ. ცივილიზაციამ, არ ვიცი!

მოვუწოდებ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, ებრაელებს, ასირიელებს... ეთნიკური უმცირესობის ნებისმიერ წარმომადგენელს: საქართველო ჩვენი სამშობლოა, ეს ქვეყანა ყველასია და ამიტომაც დავუდგეთ გვერდით ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს.

ყველა ერთად ვეცადოთ, რომ საქართველო ეკონომიკურად გაძლიერდეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ქვეყნის იმიჯი ამაღლდეს ცივილიზებული სამყაროს თვალში, რომ მათ დაგვინახონ და მიგვიღონ ჩვენი კულტურითა და ტრადიციებით, თავიანთ ოჯახში. თუკი დღეს თვალს დავხუჭავთ და ხმას არ ამოვიღებთ, ხვალ ჩვენი რელიგია, ენა, კულტურა... ყველაფერი დაიკარგება და ამას თაობები არ გვაპატიებენ... არ გვაპატიებს არც აზერბაიჯანელი, არც სომეხი, არც ებრაელი და საქართველოში მცხოვრები არცერთი სხვა ერის შთამომავლობა... ამიტომ ყველა ერთად უნდა დავდგეთ და ამით ევროპას ვაჩვენოთ, რომ ეროვნული უმცირესობები ქართველი ხალხის გვერდით ვართ!

მინდა ვთხოვო მედიის წარმომადგენლებს, რომ უფრო აქტიურად ჩართონ ეროვნული უმცირესობები გადაცემებში, უფრო ხშირად დაბეჭდონ პრესაში და დაანახვონ მსოფლიოს, თუ როგორ უყვართ ამ ადამიანებს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საერთო სამშობლო საქართველო. „საერთო გაზეთს“ კი მინდა მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ალი ბაბაევის აზრით ინტერესდება.

**ნონა ქარქაშაძე**



რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მედიასთან განახლებული ფორმატით შეხვედრა გამართა. აღნიშნული ბრიფინგი მან ჯერ კიდევ 22 ივნის დააანონსა, როცა ნიკა გვარამიასთან დაკავშირებით შეწყალების აქტი გამოსცა. მედიამ სხვადასხვა საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის შეფასებები მოისმინა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა სწორედ მედიამენეჯერის შეწყალება იყო. ეს თემა ჟურნალისტებმა მაგდა ანიკაშვილმა და ზვიად ავალიანმა პრეზიდენტს ასე მიმართეს: ჩვენი საუბრის თემა პრეზიდენტის შეწყალებებია. ნიკა გვარამიას შეწყალების თაობაზე საზოგადოებას თქვენი პასუხი არ მოუსმენია. ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება რამდენიმე თვალსაზრისითაა პრობლემატური. კერძოდ, ის სრულებით არ წარმოადგენს თქვენი ამომრჩევლის დაკვეთას. თანაც, ასე გარანტირებული გვაქვს პოლარიზაციის გაღრმავება, რაც ევროინტეგრაციის გზაზე დამატებითი ბარიერი გახდება. თქვენ შეიწყალეთ ადამიანი, რომელიც იყო თავისუფალი მედიის, კონკრეტულად კი იმ ტელევიზიის, რომელსაც მე წარმოვადგენ, შეზღუდვის ორგანიზატორი. გვარამიამ სატელევიზიო სივრცეში სიძულვილის ენა, უკიდურესად უხამსი ლექსიკა, რაც პირადად თქვენი მისამართითაც გაჟღერდა, ნორმად აქცია. თქვენ შეიძლება ეს საკითხი პერსონალურ განზომილებაში დატოვეთ და აპატიეთ კიდეც, მაგრამ ამ გადაწყვეტილებით ამომრჩეველს დაუპირისპირდით. გარკვეული თვალსაზრისით, ის ადამიანები დააღალატეთ, რომელთაც საპრეზიდენტო კამპანიის დროს მხარი დაგიჭირეს. გვარამიას შეწყალება მათი დაკვეთა ნამდვილად არ ყოფილა. თანაც თქვენი შეწყალების აქტის თაობაზე, ქართველ ხალხზე უფრო ადრე, ევროპის პარლამენტის ერთმა მცირერიცხოვანმა, მიკერძოებულმა ჯგუფმა იცოდა. თუ ხალხის არა, მაშინ ვისი დაკვეთა შეასრულეთ, ვის წინაშე ხართ ანგარიშვალდებული?

**სალომე ზურაბიშვილი:** ჯერ ერთი, არავის წინაშე ანგარიშვალდებული არ ვარ, რასაც თავის დროზე სააკაშვილიც მიხვდა და დღევანდელი მთავრობაც. მე, როგორც დამოუკიდებელი პირი, ისე ამირჩიეს. ყოველთვის ვაღიარებ და მადლიერი ვარ მხარდაჭერისთვის „ქართული ოცნების“, მაგრამ ეს არ ნიშნავს მასზე დამოკიდებულებას. არასწორი გაგებაა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ პრეზიდენტი ამომრჩევლის საკუთრებაა.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე „საერთო გაზეთი“ ექსპერტების აზრით დაინტერესდა:

### ის ხანდაზმული ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებს

**მაია ნიკოლეიშვილი, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი**: ზურაბიშვილზე დიდი ხანია, წარმოდგენა დავკარგე. კი ამბობს: პრინციპული ვარ, ჩემზე ზეწოლები არ ჭრისო, მაგრამ რეალურად, საპირისპირო ვიხილეთ. იგი დასავლეთის დაკვეთის შემსრულებელია. იგი ქართველი არ არის. საქართველო მხოლოდ მისი ისტორიული სამშობლოა. მან ვერ იგრძნო ქართველი ერის სულისკვეთება. საბოლოოდ, ხანდაზმული ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებს. მასში დიდი დოზით არის ინფანტილიზმი, არაქართველობა, უფრო ზუსტად, კონტრეროვნულობა. ზურაბიშვილმა გვარამიამდე ოქრუაშვილი, რურუა, უგულავა შეიწყალა. გვარამიას შეწყალება კი არა, თავად პრეზიდენტის საქციელია ამაზრზენი. თორემ, რას წარმოადგენდა გვარამია? იგი ტელევიზიას ეპატაჟით ასულდგმულებდა. გვარამია არ გახლავთ ის მედიამენეჯერი, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმეს შეცვლის. იგი რევოლუციის მომწყობი არ არის, ეს ფაქტია. გვარამია გარკვეული პერიოდი ციხეში იჯდა. წელიწადი და ორი თვე საკმაო დროა, რათა მიხვდე: ვინ გამოგიყენა და რეალურად, ვინ გედგა გვერდში. გვარამია, ალბათ, ბევრ რამეს გადააფასებს. იგი უჭკუო კაცი ნამდვილად არ არის, იარაღად თავს აღარავის გამოაყენებინებს. ეჭვი არ მეპარება, ციხეში ყოფნისას ბევრ რამეს მიხვდა. ამიტომ, თავად გვარამიას გათავისუფლებაზე იმდენად პრობლემა არ მაქვს. აი, რურუას, ოქრუაშვილის გამოშვება სხვა საკითხია. გვარამია ისეთი კრიმინალი არ არის. აქ მეტწილად პრეზიდენტის საქციელმა გაგვაღიზიანა.

### გავლენის აგენტი სალომე ზურაბიშვილი რიგითი აგენტი გვარამიას გადასარჩენად!“

**ედიშერ გვენეტაძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი**: გვარამიას შეწყალება ეს იყო მრავალსერიიანი ფილმის ერთ-ერთი სერია, რასაც დავარქვი — „გავლენის აგენტი სალომე ზურაბიშვილი რიგითი აგენტი გვარამიას გადასარჩენად!“, რომლის რეჟისორები დასავლური, ე.წ. დემოკრატიულ-ტროცკისტული ძალები იყვნენ, ოპერატორები: „მთავარი“, „ტვ-პირველი“, „ფორმულა“ და აქაურ-იქაური შარლატანები. ასევე ამ სცენარის მთავარი პროდიუსერები არიან (ფინანსური უზრუნველყოფა) სააკაშვილის ოჯახი, კეზერაშვილი და სხვა პირები, რომელთაც საქართველო გაძარცვეს. ერთ რამეზე ძალიან ვწუხვარ: საქართველოს ჰყავს პრეზიდენტად ქალბატონი, რომელსაც ზნეობის ნატამალი არ გააჩნია. თავმოყვარეობაზე ზედმეტია ლაპარაკი. ყველა თანამდებობა წარმავალია, მუდმივი მხოლოდ ერთი რამ არის — როგორ სახელს დატოვებ. მას შეეძლო, თანამდებობა დაეტოვებინა და ეს ნაბიჯი არ გადაედგა — აი, ეს იქნებოდა ღირსეული საქციელი. ზურაბიშვილის პრეზიდენტობა შეცდომა იყო. დაუძინებელმა მეგობრებმა არჩევანის წინაშე დაგვაყენეს — ერთ მხარეს იყო დასავლური სპეცსამსახურების აგენტი, მეორე მხარეს კი — ჩრდილოეთის სპეცსამსახურების აგენტი ვაშაძე. სხვა გზა არ იყო.

### ოპოზიციის ლიდერად მოგვევლინა

**იგორ კვესელავა, ანალიტიკოსი, პროფესორი**: პრეზიდენტთან დაახლოებულმა ევროპელმა ლიდერებმა იცოდნენ, გვარამიას შეწყალებას რომ აპირებდა. ვიოლა ფონ კრამონმა კიდეც თქვა: ეს ჩვენთვის ცნობილი იყოო. ზურაბიშვილი ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. 26 მაისს გაკეთებული განცხადებებისა და გვარამიას შეწყალების მერე, იგი, ფაქტობრივად, ოპოზიციის ლიდერად მოგვევლინა. დიახ, დღეს ზურაბიშვილი ოპოზიციის გამოკვეთილი ლიდერია, რომელსაც ევროპისგან მხარდაჭერა აქვს. გამორიცხული არ არის, არჩევნების დროს მან რომელიმე ოპოზიციურ ძალას დაუჭიროს მხარი, ან თავად ჩამოაყალიბოს პოლიტიკური გუნდი. ვფიქრობ, პრეზიდენტმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო.

### პრეზიდენტი თავად გახდა ახალი დაპირისპირების წყარო და ინსპირატორი

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, ყოფილი პარლამენტარი, დამოუკიდებელი უფლებადამცველი**: ეს პირადი, მერკანტილური გადაწყვეტილებაა, რასაც სახელმწიფო ინტერესებთან არავითარი კავშირი არ აქვს. დიახ, ეს არის არა პრეზიდენტის ინსტიტუტის მიერ მიღებული პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება, არამედ პრეზიდენტადწოდებულის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტი, რომელიც ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული. იგი კონკრეტული დაკვეთის აღმსრულებელია. ზუსტად იგივე მოხდა, რაც თავის დროზე ნიკანორ მელიას, ჟორა რურუას, ირაკლი ოქრუაშვილის, გიგი უგულავას შემთხვევაში — დასავლეთი გვეუბნებოდა, რომ მათთვის ხელის ხლება, წითელი ხაზების გადაკვეთის ტოლფასი იქნებოდა. ანალოგიურად, გვარამია, როგორც უკანასკნელი მოჰიკანი, რომელიც ახლა დასავლეთის მთავარი იმედია, ამ კრიზისულ პერიოდში გარეთ უნდა ყოფილიყო. ეს, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობისთვის“ მაშველი რგოლის გადაგდება იყო, რასაც უკიდურესად მძიმე პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასებები მიეცემა იმიტომ, რომ ასეთ ვითარებაში „ნაცმოძრაობისთვის“ მაშველი რგოლის გადაგდება, თან პრეზიდენტისგან, რომელიც არის საქართველოს თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური, სტაბილურობისა და მშვიდობის დაცვის გარანტი, დაუშვებლად მიმაჩნია. ფაქტობრივად, პრეზიდენტი თავად გახდა ახალი დაპირისპირების წყარო და ინსპირატორი. ეს ქმედება სერიოზულ შეფასებებს, გაკიცხვას იმსახურებს. ცხადია, ეს ნაბიჯი პოლარიზაციის გამწვავებას გამოიწვევს, რაც უკვე სახეზეა. გვარამიას გამოსვლასთან დაკავშირებულია გარკვეული იმედები, რომ მოხდება რეანიმაცია იმ მილევადი სიცოცხლის, რასაც არავითარი ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. დიახ, ამ ნაბიჯით პრეზიდენტმა დაშლის პირას მისული „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ხრწნის პროცესი შეაჩერა.

* * *

**რამაზ საყვარელიძე, ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი**: სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილებამ საქართველოში საპროტესტო ტალღა გააჩინა, რისი მოწმეც თავად ვიყავი. საპროტესტო ტალღა შემდეგს გულისხმობს: ადამიანების ნაწილი მიიჩნევს, რომ,საქართველომ ისევე მედგრად უნდა იბრძოლოს გვარამიას შეწყალების გასაპროტესტებლად,



ნიკა გვარამია ამბობდა, რომ შეწყალებას არ სთხოვდა რეზიდენტ-პრეზიდენტს და გარემოცვას აფრთხილებდა, მის შეწყალებაზე ხმა არ ამოეღოთ. მართლაც, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების იმედზე იყო ვითომ და ვითომ ჰოი, საოცრება მოხდა!

შეშინებული რეზიდენტი-პრეზიდენტი იდგა სათაგურში გამომწყვდეული თაგვივით და სწორედაც რომ შეშინებული თაგვივით ჰქონდა თაგვისფერი გუგები გაფართოებული. საბრალო, სიტყვების გარეშე ამბობდა, რომ დავალება არნახული ზეწოლის გამო შეასრულა, შეიწყალა მისი მაგინებელი ნიკა გვარამია. კი, პრეზიდენტია, კი, რეზიდენტია, მაგრამ ივედრებოდა მისი მთელი არსება, არ დაიჯეროთ, მე არ შემიწყალებია, შემაწყალებინესო. მე არ ვაპირებ განვმარტო, რატომ ვიქცევი ასეო, — ესღა ამოღერღა, იმ მცირეოდენად შერჩენილ, მაგრამ დაღვენთილ ღირსებას ასეღა მოებღაუჭა.

გვარამია კი დგას და იცინის, იცინის, კვდება სიცილით, მაგრამ ჯერ არ ჩაკაიფებულა (ან პირიქით) და ბოდიშს არ იშურებს „დიდი განმათავისუფლების“ მისამართით, არ მომწონს ჩემი თავი იმ ვიდეოებში, ქალთან მიმართებაში ეს საძაგლობააო. ქალთან მიმართებაში საძაგლობის გამო ბოდიშის მოხდა მხოლოდ რეზიდენტ-პრეზიდენტს ეხება? აბა, მივიდეს მთვარისა ნავერიანთან, რომელსაც შვილი უწამეს ციხეში და აქციაზე გვარამიამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მასაც მოუხადოს ბოდიში და ვითომვითომ დავიჯერებთ, რომ ქალზეა საუბარი და არა შემწყალებელ რეზიდენტ-პრეზიდენტზე.

ვენაცვალე ხათუნა ხოფერიას, 100%-იანი თქვა: „აი, დედისხელას ყ&ექალას რომ დაგიძახებს, ეგეთი არაკაცის შეწყალება რომ მოგიწევს და ყ....ლად რომ თვლი, ეგეთისგან შეწყალებას რომ მიიღებ... ორივეს გაგარტყით ბედ-იღბალში!“

ახლა ყველა ხელებს გაასავსავებს „ოცნებიდან“, მე არ მირჩევია მისი გაპრეზიდენტება ივანიშვილისთვისო. აბა, ვინ ურჩია, ჩვენ ვურჩიეთ, ხალხმა? ხალხის რჩეული რომ ყოფილიყო, მეორე ტური არ დასჭირდებოდა. მე, ჩემმა ოჯახის წევრებმა და საახლობლომ მხოლოდ მეორე ტურზე ავითრიეთ წელი, რომ საარჩევნო ყუთთან მივსულიყავით და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცსექტის კანდიდატი არ გამხდარიყო პრეზიდენტი.

თურმე, რა ტყუილად გავრჯილვართ! ის ულვაშა ძია გრიგოლი მოსკოვშია და თავისთვის თბილად მოკალათებული ღუღუნებს, ეს სამგლე დედაკაცი კი თავზე გვამხობს ძლივს შეკავებულ სტაბილურობას...

რა დავალება მისცეს, ნეტავ, რადგან „მეორე ფრონტი“ არ გინდათ და რადგან დესტაბილიზაციაც არ ხერხდება, „გეგმა ყ“ უნდა ამუშავდეს სამოქალაქო ომის სახით, იქნებ, ასე მაინც გავკრათ ხელი არსებული ხელისუფლების დამხობასო? საინტერესოა, თუ ხვდება, რომ ის იქნება ყველაფერზე პასუხისმგებელი, რასაც გვარამიას დარიგებული გოშიები შეასრულებენ მისი გეგმის მიხედვით? — გვარამია კი, ნამდვილად არ არის უტვინო, გადასარევი დამგეგმავი რეჟისორია...

ერთი საინტერესო მომენტია — გვარამიას ადვოკატმა საძაგლიშვილმა „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა, რომ გვარამიას შეწყალების შესახებ თხოვნა არ დაუწერია. ეს თუ ასეა, ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტმა ქართული კანონმდებლობა უხეშად დაარღვია, რაც შესაძლო კანონდარღვევის ფაქტის შესწავლის და მისი დადასტურების შემთხვევაში, შესაძლოა, მისი იმპიჩმენტის საფუძველი გახდეს — ასე ვიცოდი აქამდე და ახლა სხვაგვარად აღმოჩნდა.

თუ ეს მართლაც ასეა, გვარამიას შეწყალების თხოვნით არ მიუმართავს რეზიდენტი-პრეზიდენტისთვის და საქართველოს პარლამენტი ყურს არ შეიბერტყავს, მაშასადამე, ეს ფარჩაკი დედაკაცი სულაც არ ყოფილა ხალხისგან საგინებელი.

სტრასბურგამდე შეიწყალა ქალბატონმა რეზიდენტ-პრეზიდენტმა ნიკოლოზ გვარამია, რადგან სტრასბურგის განაჩენი ისეთი იქნებოდა, ვეღარ შეიწყალებდა!

ნაცვლად იმისა, რომ „ოცნებას“ პირველი გადაცდომისთანავე რეზიდენტი-პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი დაეყენებინა, ყური მოუყრუა და ახლა ერთხმად იმღერონ იმ დეპოლარიზაციაზე, რასაც დეპოლარიზაცია კი არა, სამოქალაქო დაპირისპირება თუ არ მოჰყვა, ყველა წარმართულ სალოცავს ყველამ ერთად შავი კურატი უნდა შევწიროთ...

„როდესაც კონკრეტული ადამიანი შენ გეძახის რეზიდენტს და მერე, აღარ მინდა გავიმეორო, რას გეძახის, ამის მერე თუ კიდევ ფიქრობ ასეთი ადამიანის შეწყალებაზე, მაშინ ადასტურებ, რომ ეს გამონათქვამი სწორი ყოფილა. ანუ, რასაც ეძახდა გვარამია ზურაბიშვილს, გამოდის, რომ ეს ყოფილა მართალი, სწორი — თუ ის დათანხმდება

# სალო-ყრუ, გაიღვიძე, უკვე პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ხარ დაკრძალული!

## მურვან-ყრუს გააგებინებდი რამეს, ამას არაფერი ესმის თურმე...

ამ პიროვნების შეწყალებას. ნუ, ეს არის სალომე ზურაბიშვილის გადასაწყვეტი,“ — განაცხადა ირაკლი კობახიძემ გვარამიას შეწყალებამდე მცირე ხნით ადრე.

ასე თუ გააგრძელა „ქართულმა ოცნებამ“, ხალხი მალე „ქართული ოცნების“ შეფასებაშიც დაეთანხმება ნიკა გვარამიას.

„ვფიქრობ, სააკაშვილის ლობისტებმა, მათ შორის, ევროპელმა პოლიტიკოსებმა, ამერიკის ზოგიერთმა წარმომადგენელმა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ და იცავდნენ მის ამ სპექტაკლს, ბოდიში უნდა მოუხადონ ჩვენს საზოგადოებას და სახელმწიფოს იმ ზიანისთვის, რომელიც მათ მთელ მსოფლიოს მიაყენეს“, — თქვა პრემიერმა სრულიად მართებულად და აიშალა კრაზანების ბუდე!

სად აქვთ სირცხვილის გრძნობა! კი არ შერცხვათ და ბოდიში კი არ მოიხადეს, არამედ, რას ჰქვია, საბოდიშოდ გვაქვს საქმეო და კორუფციაში ყელამდე ჩაფლული ევროპარლამენტარები კრუნჩხვებში ისე ჩავარდნენ, ვიღაც პაატა მანჯგალაძესა და თეონა აქუბარდიას გადაედოთ ციებ-ცხელება. ვიღაც უნგრელი ვარჰეი მთლად გათავხედდა, საქართველოსგან ლგბტ საზოგადოების შეკრება და გამოხატვის თავისუფლებაც მოითხოვა, ეს ჰგონებია კონსტრუქციულობა, ასე ჩანს. ზოგადად კი, ურსულა ფონ დერ ლაიენს რომ მოუსმინოს კაცმა და მისი პათოსი განსაზღვროს, „ჩვენებიდან“ ლენინი გაგახსენდება, „იმათიდან“ — ჰებელსი...

ჩემო კარგო ქვეყანავ, ნეტავ, რატომ ემართება ჩვენს ხელისუფლებას ის ამბავი, რაც ერთმა კარგმა კაცმა თქვა: ამათ ისე მოსდით, ლამაზი ქალის ფოტოს რომ ნახავს კაცი და გულში ჩაუვარდება, მისი ნდომა სწვავს, არადა, ის ფოტო 40 წლის წინათ არის გადაღებული...



რა გვესაქმება იმ „ბებერ მეძავთან“ (ასე ჰქვია ევროპას, მე ხომ არ ვარქმევ?) ქართველებს, რომელსაც სხვა, გაუკუღმართებული ფასულობები აქვს?

აი, თქვენ ბოდიშიო და რეზიდენტ-პრეზიდენტს ისე გამოაშვებინეს ციხიდან დამნაშავე ნიკა გვარამია შეწყალებით, რომ მას შეწყალება არ უთხოვია. ამაზე მეტი მასხრად აგდება მე არ ვიცი!

ნიკა გვარამია ყოფილა მისანთმისანი!

ჩვენ რომ სალომე ზურაბიშვილის ნათქვამი „ქაჯები“ გვიხაროდა და მის გამო იპოდრომზე ტალახს ვზელდით ქარაშოტში, ის უკვე ღრმად დარწმუნებული იყო, რომ შემდგომში უკვე სალომე პრეზიდენტი რეზიდენტი იყო და თანაც ყ..ქალა!

ერთხანს შემეცოდა კიდეც ეს დედაკაცი, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით, რადგან გამახსენდა, რას მიამბობდა ბავშვივით ალალი იაკობ ახუაშვილი სალომე ზურაბიშვილსა და ჯანრი კაშიაზე ჯერ კიდევ 13-15 წლის წინათ. არ ვიცი, რამდენად სწორ ინფორმაციას ფლობდა ბატონი იაკობი, მაგრამ მიამბობდა, რომ:

„300-თა კომიტეტმა“ საექსპერიმენტო ქვეყნად საქართველო აირჩია და ახორციელებდნენ და განახორციელებდნენ თავიანთ მიერ დაგეგმილ პროექტებს;

სალომე ზურაბიშვილი და ჯანრი კაშია „მასონთა ლოჟის“ აქტიური წევრები იყვნენ და იმ დრომდე სოროსისა და „300-თა კომიტეტის“ მიერ იმართებოდნენ;

სალომე ზურაბიშვილმა ფრანგული კარიერა თავისი ბიძაშვილის, დანკოსის დახმარებით დაიწყო. ელენე დანკოსი საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, ჟაკ შირაკის მრჩეველი იყო;

ასეთი ახლობლისა და „მალტის ორდენის“ ლოჟის წყალობით დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად;

ეს ისე გამახსენდა, მაგრამ ეგებ უტყუარ ინფორმაციას მაწვდიდა ბატონი იაკობი?

ფაქტი ერთია, მაგრად გაგვაცურა ამ დედაკაცმა ყველანი, გარდა ნიკა გვარამიასი!

ვიოლა ფონ კრამონი რომ „გაგვენდო“, სალომე ზურაბიშვილი ბრიუსელში რომ იყო, გავიგეთ, გვარამიას შეწყალება ჰქონდა განზრახულიო, მხოლოდ ამიტომ არის თავგადასახოტრი ეს მართლა სამგლე დედაკაცი, რას უგრძელისჭირებს ვიღაც გადამთიელებს იმას, რასაც იმ ქვეყანას უმალავს, რომელი ქვეყნის პრეზიდენტიც არის? იმიტომ, რომ აგენტია, გავლენის კი არა, ჩვეულებრივი, უსამშობლო აგენტი! ვისთანაც ანგარიშვალდებულია, იმას აბარებს სამომავლო გეგმების ანგარიშს!

ხალხი იმპიჩმენტს ითხოვს! მიუხედავად იმისა, რომ იმპიჩმენტი პროცესია, რომელსაც თავისი პროცედურები აქვს და, შესაძლოა, რომ 2024 წლის არჩევნებამდეც გაიწელოს, მაინც ითხოვს, რადგან ღირსების საკითხია და უღირსის სახელით უნდა, რომ მოისროლოს რეზიდენტი-პრეზიდენტი პარიზის სანაგვეზე!

კაცმა რომ თქვას, დიდი საკვირველება არც მომხდარა, უცხოური გავლენის ერთმა აგენტმა შეიწყალა უცხოური გავლენის მეორე აგენტი, მერე რა, რომ შეწყალებული შემწყალებელს მრავალი უმსგავსო სიტყვებითა და ეპითეტებით „ამკობდა“ ღია ეთერიდან. ფინალში, ნაგინები შემწყალებლად მოევლინა მაგინებელ შეწყალებულს და ამ უკანასკნელმაც ერთი სამადლო ბოდიში გამოსტყორცნა. ვატყობ, მაინც დიდი შავი კატა დარბის მათ შორის, მაგრამ რა, უბრძანებენ და ორივე ისეთ ცუციკად გადაიქცევა, საკუთარი კნუტივით ალოკავს უღირს გერს პრეზიდენტ-რეზიდენტი...

რეზიდენტმა-პრეზიდენტმა, უცხოური გავლენის აგენტმა, სალომე ზურაბიშვილმა უკვე მერამდენედ შეურაცხყო საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი, უხეშად ჩაერია მართლმსაჯულებაში და ხალხს უღალატა, ახლახან კი განაცხადა, არავის წინაშე არ ვარ ვალდებულიო და თუ ეს ასეა, მაშინ რაღა უნდა პრეზიდენტის სასახლეში, გამოიხუროს კარი და...

სალო-ყრუ, გაიღვიძე, ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობისთვის უკვე პერ ლაშეზის სასაფლაოზე ხარ დაკრძალული პატივის გარეშე!

**ნინო დაუშვილი**

---

როგორც მეორე ფრონტის გახსნის თემას უწევს წინააღმდეგობას. იქნებ, ყველაფერზე ბრძოლა არც ღირს, გვარამია ხომ იყო გარეთ, მაგრამ ვერაფერი გააკეთა.

### პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს და მთავრობას უპირისპირდება

**პეტრე მამრაძე, მეცნიერი, პოლიტიკოსი**: ამ გადაწყვეტილების შედეგებს რამდენიმე ასპექტი აქვს. მაგალითად, დასავლეთში გვარამიას შეწყალებას დადებითად შეხვდნენ. ზოგი ევროპარლამენტარი გვარამიას შეწყალების გამო კომიკურადაც მოიქცა: ცრემლები მოგვერია, თავი ვერ შევიკავეთ, ისე გაგვიხარდაო. ზოგადად, აშკარაა, რომ პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს, მთავრობას უპირისპირდება. ზოგი ამბობს, რომ გვარამიას შეწყალება პოლარიზაციას შეამცირებს, რაც საეჭვოა. თუ გვარამია ისე იმოქმედებს, როგორც სადისტური რეჟიმის ერთ-ერთი აქტიური შემსრულებელი და ისევ ამ ხაზს გააგრძელებს, პოლარიზაცია კიდევ უფრო გამწვავდება. ყველას გვახსოვს, რა განცხადებებს აკეთებდა იგი პრეზიდენტის შესახებ, ასევე, რას ამბობდა ქართველებზე. მისი სიძულვილის ენა და აგრესია თვალნათლივ ჩანდა. ერთ მის ფრაზას მაინც ვიტყვი: ნეტა მეტეორი ჩამოვარდეს და სტუდენტები მთლიანად შთანთქას, გასრისოსო. აქვე, იკვეთება ორმაგი სტანდარტი დასავლეთის მხრიდან. გვარამია საჯარო განცხადებებში შეურაცხყოფდა აშშ-ს, მათ შორის ელჩს — კელი დეგნანს, ეს ყველაფერი ხომ ნათარგმნია და მათ მაგიდაზე უდევთ! მაშინ არავის უთქვამს, რომ სიძულვილის ენა დაუშვებელია. მაგრამ გვარამიას ერთხელაც რომ ეთქვა: ლგბტ პროპაგანდის და აქ პარადების გამართვის წინააღმდეგი ვარო, დასავლეთი მის შეწყალებას ასე აღფრთოვანებით აღარ შეხვდებოდა. თუ გვარამაიმ ჩვეული საქმიანობა განაგრძო, მაშინ ეს ხელს შეუწყობს საქართველოში პოლარიზაციას, დაპირისპირებას და ა.შ.

### საყურადღებოა ისიც, რომ მისთვის არაფერს წარმოადგენს შეწყალების მთავარი პრინციპის — სამართლიანობის უგულებელყოფა

**ნანა კაკაბაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე**: რა გითხრათ, მეგონა პრეზიდენტი გვყავდა და რეზიდენტი აღმოჩნდა. ამ გადაწყვეტილებით ზურაბიშვილმა დაადასტურა, რომ ნამდვილად იმსახურებს გვარამიას მიერ მისთვის შერქმეულ მეტსახელს; იგი პირნათლად ასრულებს დასავლეთელი პარტნიორების დავალებებს და საკუთარი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მათ ინტერესებს ემსახურება; სალომე ზურაბიშვილი არაფრად მიიჩნევს სისხლიანი რეჟიმის ყოფილი გენერალური პროკურორის მოადგილის მიმართ ქართველი ხალხის დიდ უმრავლესობაში ფაქტებზე დაყრდნობით დამკვიდრებულ აზრს და მხოლოდ გვარამიას პერსონის მიმართ დასავლეთში შექმნილი არასწორი აღქმებით ხელმძღვანელობს; პრეზიდენტი — რეზიდენტი ასრულებს თავისი პატრონების ნებისმიერ დავალებას. მან დაიწყო ირაკლი ოქრუაშვილის, გიორგი რურუას, გიგი უგულავას შეწყალებით, გააგრძელა ნიკა გვარამიათი და აუცილებლად დაასრულებს სააკაშვილით, თუ ამისი საშუალება მიეცემა; საყურადღებოა ისიც, რომ მისთვის არაფერს წარმოადგენს შეწყალების მთავარი პრინციპის — სამართლიანობის უგულებელყოფა. მას საერთოდ არ აღელვებს რიგითი მსჯავრდებულების ბედი. 99%-ზე მეტს — ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენებს, პირველად ნასამართლევებს, ავადმყოფებს და მოხუცებს ეს ქალბატონი შეწყალებაზე ყოველთვის უარს ეუბნება; რა თქმა უნდა, სალომე ზურაბიშვილმა შესანიშნავად იცის, რომ ნიკა გვარამიას შეწყალებით დეპოლარიზაცია ვერ მოხდება, რადგან შიდა დაპირისპირების ყველაზე აქტიურ პროპაგანდისტ გვარამიას თავისუფლებაზე ყოფნით პოლარიზაციის კიდევ უფრო გამწვავების ახალი ასპარეზი ეხსნება.

### „სინდისის მონეტიზაციის“ პროგრამა არაჩვეულებრივია, მაგრამ გაძვირდა

**შოთა გლურჯიძე, მხატვარი**: რა უნდა ვთქვა, ჩემი აზრით, ხაბეიშვილმა მასზე დაკისრებული დავალება ვერ შეასრულა და დახმარება დასჭირდათ. 2024 წელს არჩევნებია და პოლიტიკური ველის მეტად გამძაფრებაა საჭირო. ეს არჩევნებს უფრო გააიაფებს. რაც მეტად გამძაფრებულია დაპირისპირებები, მით ნაკლები ფულის გადახდა უწევთ ამომრჩევლისთვის. გვარამიას გამოშვება დროული იყო იმიტომ, რომ ხაბეიშვილის ხელში ნაცები შეიძლება საერთოდ გაქრნენ. თუ ვითარება ძალიან გამწვავდა და ნაცების რეანიმაცია ვერ მოხერხდა, მერე მიშასაც დაახმარენ. ხომ ხედავთ, „კურკუმალ ვაითი“ ნაცების ფრთის ინტელექტუალურ ნაწილში პოპულარული არ არის. იგი უფრო სახალხო ლიდერია. მათი აზრით, გვარამიას სახით ინტელექტუალურ ძალას დაახმარენ. მგონია, რომ ეს ახლა მათთვის ულტერნატივო სვლა იყო, რადგან არჩევნები ძვირი უჯდებათ. დიახ, „სინდისის მონეტიზაციის“ პროგრამა არაჩვეულებრივია, მაგრამ გაძვირდა. ამიტომ გაამძაფრეს სიტუაცია, რომ ხალხმა ხმა თავისით მისცეს და არა ფულით. თანაც, „დემოგრაფიის შუქურა“ ქართულ პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს. მისი მარჯვენა ხელი — „ნაცთა გვარამიც“ გამოუშვეს. რა გითხრათ, ცირკი ბრუნდება — „დემოგრაფიის შუქურის“ რეპროდუქციული ასპარეზიდან პოლიტიკაში დაბრუნება სტერილურ ქართულ პოლიტიკას ნაყოფიერს და ხალისიანს გახდის. წინ საინტერესო პროცესები გველის. მე ასე ვფიქრობ.

**თამარ შველიძე**

# ერიკ ზემური: „საფრანგეთში რასობრივი ომია!“

უკვე ერთი კვირაა, საფრანგეთი ცეცხლის ალშია გახვეული. ევროპის ამ ქვეყანაში მოვლენები ამერიკის შეერთებულ შტატებში 2020 წელს მომხდარი შემთხვევის მსგავსად განვითარდა. მაშინ აშშ-ში ქურდობის ბრალდებით დაკავებული შავკანიანი მამაკაცი შემოაკვდა პოლიციელს. ამან აფროამერიკელი მოსახლეობის მღელვარება და საპროტესტო აქციები გამოიწვია, რაც მასობრივ ძაეცვა-დარბევებში გადაიზარდა. საფრანგეთში ოდნავ განსხვავებული სიტუაცია იყო. პოლიციის პატრულმა მანქანა გააჩერა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ავტომობილს 17 წლის ახალგაზრდა მართავდა. საბუთების შემოწმებისას, თვითმხილველის მონათხრობით, პოლიციელი მას რატომღაც დაემუქრა. შეშინებულმა მძღოლმა უნებლიედ თუ შეგნებულად დაძრა მანქანა. პოლიციელმა პირდაპირი დამიზნებით ესროლა ახალგაზრდა მძღოლს, რომელიც ადგილზევე დაიღუპა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მოკლული ალჟირელი ემიგრანტების შვილი იყო.

მომხდარმა მიგრანტი მოსახლეობის საყოველთაო პროტესტი გამოიწვია. მოკლულის დედამაც მოუწოდა ახალგაზრდებს, გასულიყვნენ საპროტესტო აქციებზე. თავდაპირველად პოლიცია გულგრილად უყურებდა აქციებს, წესრიგს 1500 ძალოვანი იცავდა, მაგრამ ვითარება ყოველწუთს უკონტროლო ხდებოდა, საპროტესტო გამოსვლები სოციალურ აფეთქებაში გადაიზარდა. საპროტესტო აქციები, გამოსვლები, საფრანგეთის ისტორიაში მრავლად ყოფილა, მაგრამ მსგავსი ჯერ არ მომხდარა. რადიკალურად განწყობილი 12-17 წლის ახალგაზრდები არბევენ, ძარცვავენ, წვავენ ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდებათ. ერთ დღე-ღამეში 2 ათასი ავტომანქანა დაწვეს. ისინი სატვირთო ავტომობილებით ანგრევენ მაღაზიებს, ძარცვავენ და ცეცხლს უკიდებენ. რამდენიმე დღეში გაიძარცვა 200-ზე მეტი სუპერმარკეტი, 250 სხვადასხვა ბანკის ფილიალი, საიუველირო მაღაზიები, მიაქვთ ყველაფერი, რასაც მოისურვებენ.

ქვეყანაში არსებული სიტუაციით შეშფოთებულები არიან ფრანგი ჟურნალისტები, მაგრამ დაბნეულები, ვითარების რეალური შეფასებისგან რატომღაც თავს იკავებენ. ცალკეული თამამი რეპორტიორები აცხადებენ, რომ ქვეყანა სამოქალაქო ომის ადრეულ სტადიაში იმყოფება. გაცილებით მკაცრი შეფასება გააკეთა ალჟირული წარმომავლობის ფრანგმა პოლიტიკოსმა ერიკ ზემურმა, რომლის თქმითაც, საფრანგეთში რასობრივი ომია. ამასობაში კი რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდების უკონტროლო მასა წვავს სკოლებს, ბიბლიოთეკებს, გაალეს პარიზის ზოოპარკი და ცხოველები გამოუშვეს, მათ შორის, მტაცებლები, რომლებიც დედაქალაქის ქუჩებში დასეირნობდნენ.




თავდაპირველად ხელისუფლება, პოლიციის მსგავსად, გულგრილად ადევნებდა თვალს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, მიუხედავად იმისა, რომ პარიზი ცეცხლის ალში იყო გახვეული, პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი მეუღლესთან, ბრიჯიტთან ერთად მშვიდად დაესწრო ელტონ ჯონის გამოსამშვიდობებელ კონცერტს. გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანს, როგორ ცეკვავენ ემანუელი და ბრიჯიტი. კონცერტის შემდეგ მაკრონი ბრიუსელში, ევროკავშირის სამიტზე გაემგზავრა. თუმცა, ღონისძიებას ბოლომდე ვერ დაესწრო, ვადამდე ადრე დატოვა, რადგან საფრანგეთის ქალაქებში უკიდურესად დაიძაბა ვითარება. პარიზში განგაშის სირენა ჩაირთო, რაც მეორე მსოფლიოს ომის დასრულების შემდეგ აღარ მომხდარა.

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან გამომდინარე, საფრანგეთის ხელისუფლებას სათანადო რადიკალური ზომების მიღებამ მოუწია. პარიზსა და სხვა ქალაქებში მოროდიორობის აღსაკვეთად და წესრიგის აღსადგენად 50 ათასი ძალოვანის შეყვანა გახდა საჭირო, მათ შორის, სპეცდანიშნულების რაზმისა. ქუჩებში გამოჩნდა ჯავშანმანქანები, ვერტმფრენებით პატრულირება დაიწყო სამხედრო ავიაციამ. ქალაქებში, ფაქტობრივად, ბრძოლები მიმდინარეობდა, რადგან რადიკალებმა გაძარცვეს, ასევე, პოლიციის რამდენიმე შენობა, საიდანაც საბრძოლო იარაღი გაიტანეს. ჯარების შეყვანამ ვითარება ჯერ ვერ გამოასწორა. პოლიცია აკავებს აგრესიულად განწყობილ ახალგაზრდებს, რომელთა რაოდენობამ საერთო ჯამში, 3 ათასს გადააჭარბა.

სამშობლოში დაბრუნებულმა მაკრონმა სასწრაფოდ მოიწვია კრიზისული შტაბის სხდომა. მომხდარში პრეზიდენტმა სოცქსელები დაადანაშაულა, რომელთა მეშვეობითაც იგეგმებოდა აქციები. ასევე მოუწოდა მშობლებს, ყურადღება მიაქციონ თავიანთ შვილებს. ცალკეულმა ჩინოვნიკებმა წამოაყენეს იდეა, დასაჯონ დარბევებში მონაწილე ახალგაზრდების მშობლები და ჯარიმა 30 ათასი ევროთი განისაზღვროს, ან ორი წლით გაამწესონ ციხეში. თუმცა ჯერ იდეა იდეადვე რჩება. მაკრონმა მინისტრებს დაავალა, სასწრაფოდ დაიწყონ წესრიგის აღდგენა. იგი დაზარალებული 200 ქალაქის ხელმძღვანელებთან შეხვედრას გეგმავს. ორშაბათს ვითარება საფრანგეთში ოდნავ ჩახცრა, რადგან გარდაცვლილის ბებიამ პროტესტანტებს მოუწოდა, შეწყვიტონ აქციები. ჯერ კიდევ უცნობია, როდის განახორციელებს მაკრონი გერმანიაში დაგეგმილ ოფიციალურ ვიზიტს, რომელიც აქციების გამო გადადო.

საფრანგეთში შექმნილმა სიტუაციამ შეაშფოთა ევროპელი პოლიტოლოგები. მათი შეფასებით, მომხდარის მიზეზი მიგრანტების მიმართ ევროკავშირის მიერ გატარებული ლოიალური პოლიტიკაა. პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ საფრანგეთის მოვლენების მსგავსი არეულობები, შესაძლოა, იმ ქვეყნებშიც მოხდეს, სადაც არალეგალი მიგრანტები მრავლად არიან. გასულ კვირას არეულობები მოხდა, ასევე, შვეიცარიასა და ბელგიაში, რამაც შეაშფოთა როგორც ადგილობრივი, ასევე, ევროჩინოვნიკები. თუმცა, რაიმე ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ. გასულ კვირას შვედეთში კვლავ დაწვეს ყურანი, რამაც მუსულმანური ქვეყნების მოსახლეობა აღაშფოთა. ერაყში, შვედეთის საელჩოსთან დიდი, აგრესიული აქცია გამართეს, შეშინებულმა დიპლომატებმა სასწრაფოდ დატოვეს ბაღდადი. შვედეთის ხელისუფლებამ დაგმო ყურანის დაწვა, მაგრამ გამოხატვის უფლება ყველას აქვსო, განაცხადეს, რითიც კიდევ უფრო გაამწვავეს ურთიერთობა მუსულმანურ ქვეყნებთან.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საფრანგეთში აზია-აფრიკის ქვეყნებიდან 150 ათასი არალეგალი მიგრანტია, მაგრამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ისინი გაცილებით მეტნი არიან. ქვეყანაში პრეზიდენტის რეიტინგი არნახულად დაბალია. ოპოზიცია მკაცრად აკრიტიკებს მაკრონს, განსაკუთრებით მისი ყოფილი კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებში, მარინ ლე პენი. მოსახლეობაც უკვე აშკარად გამოხატავს უკმაყოფილებას მაკრონის პოლიტიკის მიმართ: „...ყველას ყელში ამოუვიდა მაკრონის ეს უნიათო ხელისუფლება“, — განაცხადა აქციების მსვლელობისა პარიზის მოქალაქემ ბლიცგამოკითხვისას. საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები საფრანგეთში და, საერთოდ, ევროპაში.




რუსეთში წარუმატებელი შეიარაღებული სამხედრო ამბოხის დასრულების შემდეგ მოსახლეობას გასულ კვირას კვლავ მიმართა ქვეყნის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. მან განსაკუთრებულად აღნიშნა სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაცია. „...ამბოხს ნებისმიერ შემთხვევაში აღვკვეთავდით, რაც შესანიშნავად უწყოდნენ ამბოხის ორგანიზატორებმაც, მაგრამ ამას მოჰყვებოდა სისხლისღვრა, მოსახლეობის მსხვერპლი... საბედნიეროდ, „ვაგნერის“ რიგებში ბევრი პატრიოტია, რომელთა ბრმად გამოყენება უნდოდათ, რაც ვერ შეძლეს“, — განაცხადა პუტინმა. მან განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენია ბელორუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ღვაწლი ამბოხის მშვიდობიანად დამთავრებაში.

სამთავრობო თათბირზე პუტინმა დაჯგუფება „ვაგნერზე“ განსაკუთრებული ხაზგასმით ისაუბრა. მისი თქმით, „...ვაგნერი კერძო სამხედრო დაჯგუფებად მიიჩნეოდა. როგორ შეიძლება კერძოდ მოვიხსენიოთ, როდესაც ბოლო ერთ წელიწადში სახელმწიფოსგან ხელფასებისა და სხვა ხარჯებისთვის 86 მლრდ რუბლზე მეტი მიიღო. ჰქონდათ ასევე სხვა დამანატებიც. შეიარაღებას ორგანიზაციას თავდაცვის სამინისტრო აწვდიდა“.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ალექსანდრ ლუკაშენკოს მინსკში გამოსვლა. მან ისაუბრა პრიგოჟინთან გამართულ მოლაპარაკებების ცალკეულ დეტალებზე: „...პრიგოჟინმა მომთხოვა, რომ პუტინთან ტელეფონით ესაუბრა. მე ვუპასუხე, შენც კარგად იცნობ პუტინს, ასეთ სიტუაციაში ხომ იცი, ტელეფონით არ დაგელაპარაკება.. ყვირილით მითხრა, რომ ითხოვს სამართლიანობის აღდგენას და ამიტომ მიდის მოსკოვზე შეტევით. ამაზე ვუთხარი, რომ შუა გზაზე ბაღლინჯოსავით გასრესდნენ მასაც და მის მებრძოლებსაც. ამის შემდეგ შევთავაზე ბელორუსში წამოსვლა. უსაფრთხოების გარანტიაც მივეცი“, — განაცხადა ლუკაშენკომ. თუმცა, პრიგოჟინის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია, სავარაუდოდ, ამბოხის ჯერ კიდევ უცნობი დეტალები მომავალშიც გამჟღავნდება.

საგანგაშო ინფორმაცია გაავრცელა გასული კვირის მიწურულს რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორმა სერგეი ნარიშკინმა. მისი განცხადებით, უკრაინის ხელისუფლება აპირებს კიევის პეჩორის ლავრიდან იქ დასვენებული წმინდანების ნეშტების ქვეყნიდან გატანას, რაც მართლმადიდებლური სარწმუნოების აშკარა ხელყოფაა. სიმართლეა თუ დეზინფორმაცია ნარიშკინის განცხადება, ახლო მომავალში გამოჩნდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ფაშისტურმა გერმანიამაც კი არ ახლო ხელი კიევის ოკუპაციის დროს პეჩორის ლავრას და იქ განთავსებულ სიწმინდეებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲒ“ N21)



ომამდელ ევროპის ქვეყნებში კეთილდღეობისა და ცივილიზაციის მაღალი დონე სახელისუფლო უწყებებისა და სტრუქტურების მოღვაწეობის შედეგი არ ყოფილა. გერმანული ფოტოაპარატები და ქიმიური ნაწარმი, ბრიტანული ქსოვილები, პარიზული კაბები, შლაპები და სუნამოები, შვეიცარიული საათები, ვენური ტყავის ჩანთები სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად საწარმოებში არ ყოფილა დამზადებული. მათი წარმოება იმ მეწარმეებმა უზრუნველყვეს, რომლებიც დაუღალავად მუშაობდნენ საკუთარი ნაწარმის ხარისხის ამაღლებასა და ფასის დაწევაზე. არცერთი გონიერი ადამიანი არ იტყვის, რომ სახელმწიფო უწყებას წარმატებით შეუძლია კერძო მეწარმის ჩანაცვლება.

როცა საერთაშორისო ვაჭრობას კერძო მეწარმეები ახორციელებენ, ამ დროს საუბარი სხვადასხვა ქვეყნების კერძო ფირმებზეა. შესაბამისად, გაუგებრობები კერძო მეწარმეებს შორის შესაბამისი ქვეყნების ურთიერთობებზე არ აისახება. თუ საგარეო ვაჭრობა სახელმწიფოს ხელშია, ეს კონფლიქტები პოლიტიკურ პრობლემებად იქცევა.

წარმოვიდგინოთ, რომ ჰოლანდიის მთავრობას დიდი ბრიტანეთისგან ურჩევნია ქვანახშირის შეძენა და არა გერმანიის რურის აუზიდან. ამ შემთხვევაში გერმანელ ნაციონალისტებს შეიძლება გაუელვოს აზრმა: „პატარა ქვეყნის ასეთი მოქცევის მოთმენა აღარ მინდა. 1940 წელს მესამე რაიხს სამი დღე დასჭირდა, რომ ჰოლანდიის შეიარაღებული ძალები გაენადგურებინა. ამას თუ გავიმეორებთ, ჩვენს ხელში აღმოჩნდება ყველაფერი, რასაც ნიდერლანდები აწარმოებენ და თანაც უფასოდ!“




### ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ „ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ“ ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ

განვიხილოთ ნაცისტი და ფაშისტი აგრესორების ცნობილი მოთხოვნა მსოფლიო მასშტაბით ნედლეული რესურსების ახალი, უფრო „სამართლიანი“ გადანაწილების შესახებ. თავისუფალი მეწარმეობის პირობებში, ყავის მოყვარულმა, რომელიც ყავის პლანტაციის მფლობელი არ არის, მასში ფული უნდა გადაიხადოს. მნიშვნელობა არა აქვს, სად ცხოვრობს — გერმანიაში, იტალიაში თუ კოლუმბიაში: მან თავის თანამემამულეებს სხვადასხვა სახის მომსახურება უნდა გაუწიოს, ფული გამოიმუშავოს და მისი ნაწილი საყვარელ სასმელში გადაიხადოს. თუ საუბარი იმ ქვეყანაზეა, სადაც ყავა არ მოჰყავთ, მაშინ მან (ამ ქვეყანამ) უნდა მოახდინოს ნედლეულისა და საქონლის ექსპორტი, რათა მისი იმპორტისთვის გადაიხადოს. ჰიტლერსა და მუსოლინის პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა არ აწყობთ. მათი რეცეპტი იმ ქვეყნის ანექსიაა, სადაც ყავა მოჰყავთ. მაგრამ რადგან კოლუმბიისა და ბრაზილიის მოქალაქეები ენთუზიაზმის გარეშე უყურებენ გერმანელი ნაცისტების ან იტალიელი ფაშისტების მონობის პერსპექტივას, ომზე გარდაუვალი იქნება.

მეორე თვალსაჩინო მაგალითი ბამბასთან დაკავშირებული სიტუაციაა. ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ევროპის მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ბამბის გადამუშავება და მისგან ტექსტილის ნაწარმოს დამზადება იყო. ევროპაში, როგორც ცნობილია, კლიმატის გამო ბამბა არ მოჰყავთ, მაგრამ მისი საკმარისი ოდენობით იმპორტირება ყოველთვის ხერხდებოდა აშშ-ში სამოქალაქო ომის პერიოდის გარდა, როცა სამხრეთის შტატებში ბამბეულით მომარაგებაში არეულობამ დაისადგურა. განვითარებული ევროპის ქვეყნები საკმაო რაოდენობით ბამბას იღებდნენ არამარტო საკუთარი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, არამედ ბამბის ნაწარმის მნიშვნელოვანი ექსპორტისთვისაც.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე სიტუაცია შეიცვალა. ბამბის ნედლეულის მოთხოვნა ადრინდელ დონეზე დარჩა, ვალუტის კონტროლის სისტემა, რომელიც ევროპული ქვეყნების უმრავლესობამ დანერგა, კერძო მეწარმეებს საშუალებას არ აძლევდა კერძო ბიზნესმენებს, შეეძინათ მათთვის საჭირო საკმარისი რაოდენობის ბამბის ნედლეული. Hჰიტლერის მმართველობის დროს გერმანიის ბამბის მრეწველობა განადგურების პირას მივიდა, რადგან მრეწველობის შემცირებამ მეწარმეები იძულებული გახადა, მუშების რაოდენობა მნიშვნელოვნად შეემცირებინათ. მათი ბედით ჰიტლერი დიდად არ დაინტერესებულა, ისინი სამხედრო ქარხნებში გაგზავნეს სამუშაოდ.

როგორც აღვნიშნე, თავისუფალი ვაჭრობისა და მეწარმეობის პირობებში შეიარაღებული აგრესიისთვის მიზეზები არ არსებობს, მოქალაქეები არანაირი სარგებელს არ იღებენ ამა თუ იმ პროვინციისა თუ კოლონიის დაპყრობის შემთხვევაში. მსოფლიოში, სადაც ტოტალიტარული სახელმწიფოები არსებობს, ბევრ ადამიანს უჩნდება იმის შეგრძნება, რომ რესურსებით მდიდარი ამა-თუ იმ ტერიტორიისა თუ პროვინციის დაპყრობის შედეგად, მათი მატერიალური კეთილდღეობა გაუმჯობესდება. ომები XX საუკუნეში განპირობებულია ეკონომიკური მიზეზებით, მაგრამ ისინი კაპიტალიზმს არ უშვია, რაშიც სოციალისტები გვარწმუნებენ. ამ ომების დაწყება გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოებს სურთ ,სრული პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება მოიპოვონ, ამას მხარს უჭერენ შესაბამისი ქვეყნების შეცდომაში შეყვანილი მოსახლეობის მასები.

მიმდინარე ომის სამი მთავარი აგრესორი: ნაცისტური გერმანია, ფაშისტური იტალია და იმპერიული იაპონია ვერასოდეს მიაღწევენ მიზანს. ისინი უკვე დამარცხდნენ და ეს მშვენივრად იციან. თუმცა მომავალში შეიძლება კიდევ სცადონ იგივე, რადგან მათი მცდარი ტოტალიტარული იდეოლოგიის მიხედვით, ომის გარდა, მოქალაქეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სხვა გზა არ არსებობს. ტოტალიტარისტებისთვის დაპყრობა ეკონომიკური მიზნების მისაღწევად ერთადერთი ქმედითი პოლიტიკური საშუალებაა.

### ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ

მე იმის თქმა არ მინდა, თითქოს ყველა ომი ეკონომიკური მოსაზრებებით იყო გამოწვეული — ე. ი. აგრესორის მისწრაფებით, დამარცხებულების ხარჯზე გამდიდრების მიზნით. მაგრამ წინამდებარე ანალიზის ფარგლებში აუცილებლობას არ წარმოადგენს ჯვაროსნული ლაშქრობების, ან XVI-XVII სს-ების რელიგიური ომების უმთავრესი მიზეზების შესწავლა. Mმე სხვა რამ მაქვს მხედველობაში: ჩვენს დროში წარმოებული ყველა დიდი ომი გარკვეული ეკონომიკური აზროვნების შედეგი იყო.

მეორე მსოფლიო ომს თეთრ და ფერად რასებს შორის ომს ვერ უწოდებ. ბრიტანელებს, ჰოლანდიელებს, ნორვეგიელებსა და გერმანელებს შორის არავითარი რასობრივი განსხვავება არ არის; იგივე შეიძლება ითქვას ფრანგებსა და იტალიელებზე, ან ჩინელებსა და იაპონელებზე. ეს კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის ომიც კი არ არის, ორივე მათგანს მოწინააღმდეგე ბანაკებში შეიძლება შეხვდე. დიქტატურასა და დემოკრატიას შორის ბრძოლაზეც უადგილოა საუბარი. რამდენიმე ქვეყნის პრეტენზიები „დემოკრატიულობაზე“, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა ერების წარმომადგენლები (მაგალითად, საბჭოთა რუსეთი), ფრიად საკამათოდ გამოიყურება. მეორე მხრივ კი ფინეთს, რომელიც გერმანიის მოკავშირეა, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება მართავს.

ჩემი არგუმენტი იმის შესახებ, რომ უკანასკნელ ომებში ეკონომიკური მოსაზრებები გახდა მმართველი ძალა, აგრესიას არ ამართლებს. აგრესიისა და დაპყრობის პოლიტიკის, როგორც ამა თუ იმ ეკონომიკური მიზნის მიღწევის საშუალების განხილვა, მარცხისთვის არის განწირული. თუკი ის მოკლე დროში „ტექნიკურ“ წარმატებას მიაღწევს, საბოლოო ჯამში, აგრესორების საბოლოო მიზანი მიღწეული არ იქნება. თანამედროვე სამრეწველო ეპოქაში სოციალური სისტემის შექმნა, რომელსაც ნაცისტები „ახალ წესრიგს“ უწოდებენ, გამორიცხულია. განვითარებული მრეწველობის პირობებში მონობა მიუღებელია. ნაცისტებს მოწინააღმდეგეები რომ დაემარცხებინათ, ეს ცივილიზაციის განადგურება და ბარბაროსობის პერიოდში დაბრუნება იქნებოდა. რასაც უნდა დაპირებოდა ჰიტლერი, სამი ათასწლოვანი რეიხის შექმნას „ახალი წესრიგის“ საფუძველზე ისინი ვერასოდეს შეძლებდნენ.

ამგვარად, მთავარი საკითხია, როგორ დავიცვათ თავი ომისგან. ამას ვერც ახალი ერთა ლიგის შექმნით, ვერც საერთაშორისო სასამართლოს სრულყოფით და ვერც საყოველთაო საპოლიციო სისტემის შექმნით მივაღწევთ. მთავარი მიზანია, რომ ყველა ქვეყანამ, ბოლოს და ბოლოს, იმ ქვეყნებმა მაინც, რომლებსაც ყველაზე მეტი მოსახლე ჰყავთ, მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა აირჩიონ. ამის მისაღწევად კი მხოლოდ ერთი გზა არსებობს — დავუბრუნდეთ თავისუფალ მეწარმეობას.

თუ ჩვენი ცხოვრებიდან ომის გაქრობა გვსურს, ამის მისაღწევად აუცილებელია ომის მიზეზების აღმოფხვრა.

ჩვენი ეპოქის მთავარი კერპი სახელმწიფოა. სახელმწიფო საზოგადოებისთვის აუცილებელი ინსტიტუტია, მექანიზმი, რომელიც უბრალო მოკვდავებმა შექმნეს და მისი კერპად ქცევა არ შეიძლება. თუ არადა, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, მას მსხვერპლად შევწიროთ ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლე, რომლებსაც მომავალ ომებში სასიკვდილოდ გავაგზავნით.

მყარი მშვიდობის შესანარჩუნებლად საკმარისი არ არის ერთა ლიგის ახალი შტაბ-ბინის აშენება ჟენევაში და არც საერთაშორისო საპოლიციო სისტემის შექმნა, მთავარია პოლიტიკური იდეოლოგიის შეცვლა და თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის დაბრუნება“.

ლექცია წაკითხულია
1944 წელს.

**ᲑᲔᲚᲐ ᲒᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ**
568 90 81 22



(დასაწყისი „სგ“ N9)

# რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...

განათლების კრახი ერის კრახია!“ რატომ წაართვეს ჩვენს ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების უფლება?

ფრანგების ნათქვამია: სტუდენტი გამოცდაზე ძაღლს ჰგავს — ძალზე ჭკვიანური გამომეტყველება აქვს, მაგრამ ლაპარაკი არ შეუძლიაო.

ფრანგებს დღევანდელი ჩვენი სტუდენტები არ უნახავთ, თორემ ამ სიტყვებს არ იტყოდნენ — გამომეტყველება არ აქვთ ჭკვიანური, მაგრამ ისეთი ლაპარაკი იციან, უკადრებელს კადრულობენ.

თავდადებით იბრძოდა აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი, რომ ჩვენს ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების დამღუპველი კანონები არ მიეღოთ და ამაზე ნერვიულობამ გაიყოლა;

თავგამოდებით იბრძოდა აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი ანტიეროვნული კანონების წინააღმდეგ და აღარც ის გვყავს;

თავგამოდებით იბრძოდა პროფესორი მერაბ ჯიბლაძე და აღარც ის არის დღეს ჩვენ გვერდით;

პროფესორმა ვახტანგ გოგუაძემ ისეთი გმირობა ჩაიდინა, ბევრი ვერ შეძლებდა — კონსტიტუციის მუხლი, რომელიც განათლებას ეხებოდა, მალულად შეცვალა და ამით უნივერსიტეტებისა და საშუალო სკოლების სიკვდილი ათი წლით გადაავადა.

სამწუხაროდ, დღეს აღარც ისინი არიან ამქვეყნად და არც მათი შემცვლელი ჩანს ვინმე. ინტელიგენცია „ჩაირეცხა“, განიდევნა და შოუბიზნესისა და ბიზნესმენების მიერ აყვავებული განათლების სისტემა არ გაიშვას!!

ყველამ ხომ კარგად ვიცით, რომ, ვიდრე საქართველო უცხო ქვეყნების კარნახით განსაზღვრავს ქვეყნის დღის წესრიგსა და პრიორიტეტებს, არაფერი გვეშველება; რაც ყველაზე ცუდია, დრო ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს — რაც მეტი ხანი გავა, მით მეტი დრო დასჭირდება გონზე მოსულ ქართველობას დანგრეულის, გაფუჭებულისა და სიკვდილის პირას მყოფის აღსადგენად.

საქართველომ, დედამიწაზე პირველმა მსოფლიო ცივილიზაციამ დასაბამი მივეცით მსოფლიო ცივილიზაციას და რატომ უნდა გვასწავლიდნენ ვიღაც დალმეჭილები რაღაც რეკომენდაციებით, „ლაღიძის წყალი“ სჯობს თუ „კოკა-კოლა“...

როგორ და რატომ განსაზღვრეს ქვეყნის ბედი იმ კანონებმა, რომლებიც სხვადასხვა დროს საქართველოს პარლამენტმა „მსოფლიო ბანკისა“ და სხვადასხვა უცხოური ორგანიზაციების ზეწოლით მიიღო, ვფიქრობ, ჩვენი წერილების ციკლის შემდეგ საკითხავი აღარ არის.

მერაბ ჯიბლაძე; „1983 წელს ლექციების სპეცკურსის წასაკითხად ჩემი მეგობარი, გამოჩენილი მეცნიერი ქიმიური ლაზერების დარგში, პროფესორი როლფ გროსი მოვიწვიე. იგი მრავალჯერ იყო ნამყოფი საქართველოში და იმდენად კარგად იყო განწყობილი ჩვენ მიმართ, რომ თვე-ნახევარი გამონახა ჩვენთან დასარჩენად. ერთხელ მან მითხრა: თქვენ რუსების კი არა, ამერიკელების უნდა გეშინოდეთო. გამიკვირდა, ამერიკა ცხრა მთას იქით არის რა და როგორ უნდა დაგვიშავოს-მეთქი.

— მე ვიცი ამერიკელების სტრატეგიული ინტერესი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა სტრატეგიული გეგმა, რომლის თანახმადაც, რუსეთის გვერდით უნდა შექმნილიყო ზესახელმწიფო, რომელიც რუსეთს დაუპირისპირდებოდა. ჩვენ 7 თუ 8 მლრდ დავხარჯეთ და ჩინეთში „კულტურული რევოლუცია“ მოვაწყვეთ. 60-იან წლებში ჩინეთი რუსეთს დაუპირისპირდა და ცეცხლიც გაიხსნა, მაგრამ ახალი მთავრობა რომ მოვიდა, მან რუსეთთან დაპირისპირებაზე უარი თქვა.

70-იან წლებში ჩვენი ყურადღება ირანზე იყო გადატანილი. მრავალი მილიარდის ფასად ირანის შაჰი მოვისყიდეთ და „დემოკრატიის ჩანერგვა“ დავიწყეთ, მაგრამ ფუნდამენტალისტებმა შაჰი გააძევეს და მიზანს ვერ მივაღწიეთ.

ახლა ჩვენი ბოლო და ერთადერთი იმედი თურქეთია, მაგრამ ის ღარიბი ქვეყანაა იმისთვის, რომ ზესახელმწიფო გახდეს, ამიტომ მას ყოველწლიურად 30 მლრდ დოლარს ვჩუქნით, რათა მომძლავრდეს და ნატო-ს საკადრისი ჯარი შექმნას. ამ ფულს ვითომ ამერიკელი მუსლიმანები აგროვებენ საჩუქრად. ჩვენ მართლაც შევქმენით ისეთი ჯარი, რომელიც ერთადერთია მუსლიმანურ სამყაროში ისეთი, რომელიც ბრძანებაზე თავისივე ხალხს ესვრის! მაგრამ იმისათვის, რომ ზესახელმწიფო გახდეს, მას უნდა ჰქონდეს კასპიის ზღვის აუზის ნავთობი და ტერიტორია, რომელიც რუსეთის უშუალო მეზობელია. ამიტომ, მან უნდა დაიკავოს ყირიმიდან დაწყებული, მთელი კავკასია და შუა აზიის ორი თურქულენოვანი რესპუბლიკა.“

გადის წლები და როგორც ვხედავთ, ეს სტრატეგიული ინტერესი კვლავ ძალაში რჩება.

სწორედ ამიტომ იყო, თურქეთის ახლანდელ საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ ამხელა ინტერესი; ამიტომ იყო თურქეთის ძალოვანი მინისტრები პირდაპირ რომ ადანაშაულებდნენ აშშ-ის ელჩს თურქეთისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობაში; ამიტომ იყო, ერდოღანმა რომ პირდაპირ დაადო ხელი ცხრა ევროპელ ელჩს და მათი გაძევება მოითხოვა; ამიტომ იყო, კიდევ ბევრი რამ და ძნელი მისახვედრია, რა უხაროდათ ამ დროს საქართველოში საქართველოს დამაქცევრებს, რა თქმა უნდა, თუ ერდოღანის მოწინააღმდეგე — ამერიკელების კაცი გაიმარჯვებდა.

„ფრანკლინის კლუბის“ ერთ-ერთი საპატიო სტუმარი და სტუდენტთა განმანათლებელი მიშა მშვილდაძე ამიტომ გოდებდა: „თურქთში გაგვედო ბაირამ დუდუკში ხუთი წლით — ლიბერალები დავმარცხდით, მარა ხუთ წელიწადს ან გაძლებს ასეთი მორყეული ერდოღანი, ან — ვერა. ფაქტი ისაა, რომ მეორე ტურმა საკმაოდ შეარყია „ერდოს“ ძალაუფლება და ქილიჩადროღლუ არაა ერთადერთი პოლიტიკოსი ოპოზიცის მხარეს, იქ კიდევ არიან ამბიციური ადამიანები, რომლებიც იბრძოლებენ თურქეთის ვესტერნიზაციისთვის. ჩვენ ჩვენი ბრძოლა გვაქვს მოსაგები აქ და თურქეთი ვერასოდეს გახდება რეგიონის ვესტერნიზაციის ბაირახტრი, სანამ საქართველო ვართ აქა და სომხეთი, რომელიმე ყოველთვის უფრო წინ ვიქნებით ექსპერიმენტალიზმში — ჩემი აზრით, ოღონდ, მეც გეოპოლიტიკურ ოპტიმიზმზე ვარ შემჯდარი.“

ამიტომ უნდა მოშლილიყო განათლების სისტემა! აი, ასეთი ადამიანები „ანათლებენ“, აგერ უკვე წლებია, ახალგაზრდა თაობებს და ამიტომაც აღარ ჰგავს ბიჭი ბიჭს და გოგო — გოგოს, ორივე ერთად კი — ადამიანს. დაიწყეს წიგნების დაწვით და ადამიანების დაწვაზე გადავიდნენ...

ბატონმა ნოდარ ლომოურმა 2008 წელს გამოაქვეყნა სტატია, სადაც ამბობდა, რომ უნდა აღკვეთილიყო ანტიეროვნული რეფორმები, რადგან ეს განათლების სისტემის საბოლოო კრახს გამოიწვევდა. ბატონ ნოდარს განათლების სისტემის კრახის დაწყების ათვლის წერტილად „ვარდების რევოლუცია“ მიაჩნდა. ეს ასე არ არის. „ფასიანი უნივერსიტეტების“ ბუმმა 1992 წლის აპრილისთვის 300-ს მიაღწია. განათლების სისტემამ მეორე დარტყმა 1992 წელს მიიღო ედუარდ შევარდნაძის ორი განკარგულებით. ერთი განკარგულებით, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს სრული ავტონომია მიენიჭა სასწავლო პროგრამების შერჩევის ჩათვლით. მეორე განკარგულებით კი სახელმწიფო და კერძო (ფასიანი) სასწავლებლის დიპლომები ერთმანეთს გაუთანაბრდა.

ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ეს განკარგულებები ყველას ხელს აძლევდა, რა მოუვიდოდა განათლებას, რა მოჰყვებოდა ამას, არავის აინტერესებდა.

დაიწყო სასწავლო პროგრამების შეკვეცა-გადაკეთება არამხოლოდ კომინისტური იდეოლოგიისგან გათავისუფლების მიზნით, გამარტივებები ყველა პროგრამას შეეხო და დაიწყო განათლების დონის სწრაფი ვარდნა.

რადგან „ფასიანი“ და „სახელმწიფო“ სასწავლებლების დიპლომი ერთი რანგისა აღმოჩნდა, „ფასიანში“ დაიწყო დიპლომების გაყიდვა. მათ შორის კონკურენციაც გაჩნდა, იმ სასწავლებელს ირჩევდნენ, რომლის დამთავრებაც უფრო იაფი და ადვილი იყო...

მერაბ ჯიბლაძე: „მიზეზი,



რამაც განათლების სისტემა კრახამდე მიიყვანა, ნათელი გახდა ამერიკის საელჩოს ატაშეს, ბატონ ჰაჩისონთან საუბრის დროს. იგი განათლებასა და კულტურას „კურირებდა“. ეს საუბარი 1992 წლის ოქტომბერში შედგა, (განათლების სამინისტროდან“ უკვე წამოსული ვიყავი) მისი სიტყვები კარგად მახსოვს: **„თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოსო.“** როდესაც გავიკვირვე, აქ ხომ ოპერაციები კეთდება, ექიმები არ გვჭირდება-მეთქი? მომიგო: **„როგორ შეიძლება თქვენთან ოპერაციების ჩატარება! თქვენთან მხოლოდ პროფილაქტიკური აცრები უნდა ჩატარდესო“...**

როდესაც ამას საელჩოს ატაშე ბრძანებს, ის ამ დროს საელჩოსა და იმ ქვეყნის პოზიციაა, რომელსაც თვითონ წარმოადგენს!

ასეთივე პოზიცია გამოხატა არაოფიციალურ საუბარში ჩემს მეგობარ ნუგზარ ფირცხალაიშვილთან (მეც ვესწრებოდი). როდესაც მან საფრანგეთის ელჩს ფრანგულენოვანი სკოლის დაარსებაში დახმარება სთხოვა, ბატონმა ფასიემ იკითხა: **„რად გინდათ განათლება, თქვენ ხომ თეთრკანიანი ზანგები ხართო“.**

ასეთი დამოკიდებულება არასდროს გამიგია აშშ-ის, ევროპისა და არც ერთი ქვეყნის ინტელიგენციის წარმომადგენლისგან, რადგან მათ ჩვენი ფასი იციან, მაგრამ პოლიტიკოსებისა და ინტელიგენციის აზრი ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. ასეთი კონტრასტულობა ყოველთვის იყო. ალბათ, ამიტომ იყო „სხვაგავარად მოაზროვნედ“ მიჩნეული ინტელიგენციის ერთი ნაწილი.

მაშინ დავწერე ერთგვარი სტატია-პროკლამაცია **„გაუნათლებლობის“ სინდრომი**, გავამრავლე და ნაცნობ პარლამენტარებს დავურიგე მოთხოვნით, რომ მუხლი დამთავრებულიყო სიტყვებით **„სახელმწიფო შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს საშუალო და უმაღლეს განათლებას!“**

არაფერი გამომდიოდა და ეს მუხლი სამივე მოსმენით მიიღეს. უკვე კონსტიტუციის ყველა მუხლი იყო მიღებული, როდესაც 30 აგვისტოს მივლინებიდან დაბრუნდა პარლამენტის სპიკერი, დიდი მამულიშვილი და მეცნიერი ვახტანგ გოგუაძე. სწორედ მან ჩაიდინა გმირობა და დაარწმუნა ქალბატონი რუსუდან ბერიძე, რომ ჩემი წინადადება განათლების შესახებ მუხლში „სარედაქციო შესწორების“ სახით შეეტანა.

სწორედ ამ ორ ადამიანს უნდა ვუმადლოდეთ, რომ, მიუხედავად „პოლიტიკური ნებისა“, მაშინ სახელმწიფო უნივერსიტეტიც გადარჩა და საშუალო სკოლებიც, თუმცა **„ვარდების რევოლუციამ“ განათლების ახალი კანონის მიღებით საშუალო სკოლებიც გააუქმა და უნივერსიტეტებიც.**

**ამდენად, „ვარდების რევოლუციამ“ 90-იანი წლების განათლების კრახი დაასრულა. ამ კარხს კი განათლების პრობლებემებისადმი ხალხის პასიურობამ და ინტელიგენციის (მათ შორის ჩემიც) არასაკმარისმა პრინციპულობამ და უნიათობამ შეუწყო ხელი“.**

ნინო დაუშვილი

# ხელოვანთათვის მთავარი თავისუფლებისკენ სწრაფვაა



*გვესაუბრება ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი სოსო სიგუა:*

**— ბატონო სოსო, თქვენ არაერთი წიგნის, ნაშრომის ავტორი ბრძანდებით. როგორ უყურებთ მწერლობაში საბჭოთა კავშირის დროინდელ და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდებში განვითარებულ მოვლენებს.**

— ხელოვანთათვის თავისუფლება, გარკვეული აზრით, ხელისშემშლელია. მწერლობისთვის, კინოსთვის, თეატრისთვის და ა.შ. კარგია, როდესაც თავისუფლების მისაღწევად იბრძვი, მაგრამ თავისუფლებას რომ მიაღწევ, ეს, უკვე მავნებელია. საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში ქართული ლიტერატურა, კულტურა, თეატრი საბჭოთა სისტემის, რუსიფიკაციის წინააღმდეგ იბრძოდა, რათა საკუთარი თავი, ჩვენი ტრადიციები დაგვეცვა. ახლა, როცა გეუბნებიან: თავისუფალი ხარ, რაც გინდა, ის დაწერე — გინდა რუსი აგინე, გინდა — აქეო, ამას ყურადღება აღარ ექცევა. ამიტომ თავისუფლება კი არ არის ხელოვანთათვის მთავარი, არამედ მისკენ სწრაფვა. ერთი სოციალისტი ამბობდა: უძრაობა — ყველაფერია, მიზანი — არაფერიაო. მიზანს მიაღწევ და მორჩა. აი, მიზნისკენ სწრაფვის პროცესი კი ზნეობრივი, შემოქმედებითი სტიმულია. როცა მიზანი მიღწეულია, ადამიანს თვითკმაყოფილება იპყრობს და ბრძოლა საჭირო აღარ არის. აი, ამის მსგავსი რამ მოხდა ჩვენს სინამდვილეშიც.

**— თანამედროვე მწერლობაზე რას გვეტყვით?**

— თანამედროვე სამწერლო ასპარეზზე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, ბევრიც — უნიჭო, როგორც ყოველთვის. ნიჭიერი კაცი გზას გაიკვალავს და თავის სათქმელს ყველა ეპოქაში ყოველთვის იტყვის. ჩვენ რამდენიც უნდა ვაკრიტიკოთ, ეს შედეგს არ მოიტანს. ახლა უამრავი ადამიანი წერს. თუმცა, ფაქტი ერთია, ამ 30 წლის განმავლობაში არ შექმნილა ისეთი ლიტერატურა, არ გამოჩენილან ისეთი მწერლები, როგორებიც იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე და სხვები. მათ შთამომავლობას შედევრები დაუტოვეს. მსგავსი, სამწუხაროდ, ჯერ არ შექმნილა.

**— ალბათ, მწერლობას ერთიანობაც აკლია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და მე-20 საუკუნის დასაწყისში მწერლობა ერთიანი იყო. მწერლები ილიას ფორმულით ხელმძღვანელობდნენ — ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა. მაშინ მწერალს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ახლა, სად გაქრა ეს ერთობა?**

— დიახ, უფრო მიბაძვით არის დაკავებული. როგორც ჩანს, თავად მსოფლიოშიც ლიტერატურული პროცესები შენელებულია და ძველებური ინტენსივობით აღარ ვითარდება. გამომდინარე იქიდან, რომ დასავლეთში შემოქმედებითი წვის ძლიერი იმპულსები არ არის, საქართველოს შემთხვევაშიც იგივე ხდება. რაც რომანტიზმის, სიმბოლიზმის დროს ან თუნდაც, ავანგარდისტული სკოლების პერიოდში იყო, მსგავსი რამ დასავლეთში აღარ შექმნილა. შესაბამისად, საქართველოშიც ამის გამოძახილი სუსტია.

**— ავანგარდისტული სკოლები ახსენეთ. ქართულ მწერლობაში, ხელოვნებაში 20-იან წლებში უცხოური მიმდინარეობები შემოიჭრა: ფუტურიზმი, დადაიზმი, ცისფერყანწელები...**

— მაშინ ამ ყველაფრის გაქართულება მოხდა. მაგალითად, ფუტურიზმმა წარმოშვა სიმონ ჩიქოვანი, სიმბოლიზმმა — გალაკტიონ ტაბიძე, ექსპრესიონიზმმა — კონსტანტინე გამსახურდია. ასეთი ძლიერი მიმდინარეობები, როგორც ჩანს, ახლა დასავლეთში აღარ არის და ამიტომაც მკითხველი თანდათან წიგნს ჩამოსცილდა. კლასიკა სულ სხვა არის. ყველამ ვიცით, რომ შოთა რუსთაველი უდიდესი პოეტია, მაგრამ დღეს მისი გავლენით ლექსს ხომ ვერ დაწერ?! ის წარსულს, კლასიკას ეკუთვნის. თანამედროვეობას თანამედროვე იმპულსები სჭირდება, რაც, ჯერჯერობით, როგორც ვატყობ, არ ჩანს.

**— დასავლეთიდან თავსმოხვეულ იდეებს ზნეობრივი გადაგვარებისკენ მივყავართ, რაც წარმოშობს კიდეც გაუნათლებელ თაობას. გვავიწყებენ: ვინაობას, სადაურობას, ტრადიციებს, კულტურას...**

— ეს ისევ გლობალიზაციის პრობლემაა, რომელიც, ერთი მხრივ, საჭიროა, მაგრამ, მეორე მხრივ, ის ჩვენს ენას, ისტორიას, წარსულს მოსპობით ემუქრება. ამიტომ გლობალიზაციის პროცესს სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ეს პროცესი ისე უნდა წარვმართოთ, რომ ქვეყანას, ერს გამოადგეს და ჩვენი ინტერესები არ დააზიანოს. აქ ზოგი ისე იქცევა, რომ გლობალიზაციიდან გამომდინარე, ყველაფერი ჩვენთვის საზიანოდ წარიმართოს. გლობალიზაციის შედეგია კომპიუტერი, მობილური, ავტომანქანა, რაკეტა, რაც ქართველებს არ დაუმზადებიათ, მაგრამ სისულელე იქნება, ჩვენს ნაჭუჭში ჩავიკეტოთ და ყოველგვარ უცხოურზე უარი ვთქვათ. ქართული რომანტიზმი, სიმბოლიზმი, მოდერნიზმი, ყველაფერი ევროპიდან შემოვიდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სწორედ ამ მიმართულებებმა შვა საქართველოში ნიკოლოზ ბარათაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, სხვა დიდი მწერლები და პოეტები. გლობალიზაციის გარეშე ეს არ მოხდებოდა. მხოლოდ ჩვენი ტრადიციების ამარა რომ დავრჩენილიყავით, პროგრესს ვერ მივაღწევდით. ევროპაში, ამერიკაში რაც კარგი და საუკეთესოა, ჩვენმა ახალგაზრდობამ ის უნდა აითვისოს, დანერგოს, განავითაროს, მაგრამ რაც ჩვენთვის მიუღებელია, და რასაც უარყოფითი შედეგები მოჰყვება, ის უნდა უარვყოთ, როგორც ზნეობრივი კუთხით, ისე ხელოვნებაშიც და ლიტერატურაშიც. სხვაგვარად ჩვენს ქვეყანას მომავალი ვერ ექნება.



## გლობალიზაცია ჩვენს ისტორიას, წარსულს მოსპობით ემუქრება

— ერთი მხრივ, მწერლობა ინდივიდუალური მოვლენაა. მწერლის ბედი ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, მაგრამ თუ მას ტალანტი არ აქვს, რაც უნდა სასათბურე პირობები შეუქმნა — გამოსცე მისი წიგნები, გაუწიო პროპაგანდა, აქო-ადიდო, მაინც არაფერი უშველის. მეორე მხრივ, შედევრები, დიდი ლიტერატურა ყოველ ათწლეულში არ იქმნება. შეიძლება ორმოცდაათი წელი გავიდეს და ლიტერატურაში მნიშვნელოვანი არაფერი შეიქმნას. ეს ტრაგედია არ არის. გავიხსენოთ ბნელი საუკუნეები, რაც საქართველოში მე-13-მე-16 საუკუნეებში იყო, როცა ქართულ ლიტერატურაში არაფერი შექმნილა. ასევეა სხვა ერების ლიტერატურაშიც — როგორც დაქვეითების, ისე აღმასვლის პერიოდები. გალაკტიონი უდიდესი პოეტია. ძნელია, ისეთი პოეტი გამოჩნდეს, ვინც ახალ, გენიალურ პოეტად მოგვევლინება. შეიძლება, ორასი წელი გავიდეს და ეს არ მოხდეს. მაგრამ კულტურის, მხატვრული დონის შენარჩუნება აუცილებელია, რაც მომავალ თაობებს უნდა გადაეცეს, როგორც ინტელექტუალური ბაზისი.

**— თქვენ ახსენეთ, ლიტერატურაში აღმასვლაც არის და დაღმასვლაცო. ახლა, რა პერიოდია?**

— ახლა, სამწუხაროდ, დაქვეითების, დაღმასვლის პერიოდია. ვისურვოთ, რომ დიდხანს არ გაგრძელდეს. თუმცა, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. შემოქმედება, ძირითადად, სტიქიური, გაუცნობიერებელი პროცესია. ამიტომ, რამდენადაც უნდა ჩავერიოთ ინტელექტუალურად ამა თუ იმ მიმართულების, ფორმის ძიებაში, შედეგს მაინც არ მოგვიტანს და არც არაფერი გამოგვივა.

**— მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციები რამდენად ახდენს გავლენას ქართულ მწერლობაზე?**

**თამარ შველიძე**





# ვერაგობით იგნორირებული ხელდასხმული თაობის სახელმწიფოებრივი რეანიმაცია



## სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

### სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოების V ყრილობაზე ბაქურ გულუას მიერ წარმოთქმული სიტყვის საგაზეთო ვერსია

დარბაზში 400-მდე დელეგატი და სტუმარია. მათში 60-80 წლის ადამიანები სჭარბობენ. ცხოვრების ხარისხი, რომელიც მთავარია სახელმწიფოთა დახასიათებისთვის, ჩვენ დაგვიქვეითდა. დღეს ეს უპირატესობა დავკარგეთ და ის გადავიდა იაპონიის კუნძულ **ოსაკაზე**. ახლა მსოფლიოში პირველ ადგილზე ისინი არიან. მიზეზთა შორის უმთავრესი, რამაც ეს განაპირობა, ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა: კუნძულ ოსაკაზე, 90 წელს გადაცილებულნი პენსიაზე არ გადიან, ისინი ყოველდღე დადიან სამსახურში, მათთვის საპენსიო ასაკი და საპენსიო ფონდი არ არსებობს.

ეტყობა, იგივე მიზეზი განაპირობებდა აფხაზურ ხანგრძლივ სიცოცხლეს — იქ 100 წელს გადაცილებულნი მამაპაპური ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ, მათ ყოფაში პენსიაში გასვლის დისკომფორტი არ არსებობდა. უფრო მეტიც — ცხოვრების ბოლო ათწლეულებში, როც უფრო ხანდაზმულნი ხდებოდნენ, ისინი უმაღლესი ბრძენის ტიტულით განსაზღვრავდნენ აფხაზეთში ცხოვრების ძირითად მიმართულებებს, .დროის აფხაზეთის ხელმძღვანელობა მათ რჩევებს ანგარიშს უწევდა.

**საქართველომ თავისი უპირატესობა ისტორიულად მოკლე დროში დაკარგა და ახლა აუცილებელია, ასევე მოკლე დროში აღდგეს იგი ფენიქსივით, ბევრ სხვა რამესთან ერთად, დემოგრაფიული სირთულეების დასაძლევად.**

ამერიკულ კვლევებში ხაზგასმულია 60-80 წლის ასაკის ადამიანთა პიკური მონაცემები — პიროვნული სიმწიფე, გამოცდილება, ნიჭიერება, უნარები და ა.შ. საქართველოში ქართული ყოფის ფუნდამენტური პრინციპები კი ვერაგულად დავიწყებულ იქნა. 50 წელს გადაცილებული პროფესიული და ასაკობრივი სიმწიფის ფაზას მიღწეული ადამიანები ერთბაშად ჩამოწერეს და რამდენიმე თაობის გამოტოვებით სახელმწიფოს მართვის სადავეები ახალგაზრდებს ჩააბარეს — **ეს ქვეყნის მდგრადი განვითარების წინააღმდეგ მიმართული ავანტიურაა.**

წინამდებარე თეზისიდან ბუნებრივად გამოდის მოსახლეობის აქტიური, შრომისუნარიანი ნაწილის ღირსეულად დასაქმების ამოცანა. თრადიციულად, ეს მსოფლიო მნიშვნელობის დილემაა და, როგორც წესი, მას მხოლოდ ინტელექტუალურად მაღალი დონის ხელისუფლებები და საზოგადოებები წყვეტენ. ამასთან, ეს ხერხდება შედარებით მოკლე დროში. დედამიწაზე არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც თავის დროზე არ უწვნევია დამანგრეველი კრიზისის შედეგები, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვისაც ლომის წილი აქვს შეტნილი აღნიშნული პრობლემის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შემუშავებაში. **მაშასადამე, ერთი მხრივ, არსებობს რთული სოციალური ვითარება და მეორე მხრივ, მოკლე დროში მისგან თავის დაღწევის საშუალებებიც.**

XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, თავის დროზე ფერფლიდან აღორძინებული ქვეყანა (ბაგრატ III-ის ეპოქა) კვლავ დანგრევის პირას მივიდა, დაიშალა, დაქუცმაცდა იქამდე, რომ მაშინდელ დედაქალაქ ქუთაისში ღვთივკურთხეული მეფე გიორგი II გეგუთის მიდამოებშიც კი ვერ მოძრაობდა უშიშრად. ამას ზედ დაერთო უმაგალითო მიწისძვრა, რომელმაც მიწასთან გაასწორა ყველაფერი, მათ შორის, ქრისტიანული რელიგიის შედევრული ძეგლები. შედეგად, ღრმად მორწმუნენიც კი მძიმე საგონებელში ჩავარდნენ. გაჩნდა სერიოზული ეჭვი სტიქიურ მოვლენებში ღვთის ნებისა და დომინანტის არსებობის შესახებ.

ამ ვითარებაში საქართველოს ახალგაზრდა მეფემ გიორგი II-მ (დაახლოებით 36 წლის ასაკში), ტახტი ნებაყოფლობით გადასცა თავის ვაჟს, თექვსმეტი წლის **დავით ბაგრატიონს**. როგორც შემდეგ გაირკვა იმთავითვე მას გვერდში ედგა დაახლოებით 22-23 წლის ბერ-მონაზონი გიორგი, მოგვიანებით ჭყონდიდელად წოდებული. ამ ორმა ახალგაზრდამ ჩაიფიქრა და შემდგომ 20-22 წლის განმავლიობაში სისტემურად განახორციელეს რიგი უნიკალური ქმედებები — ძირეული ხასიათის რეფორმები მატერიალურ და სულიერ სფეროში და ძველი კოლხეთის სამეფოს ფარგლებში უძლიერესი სახელმწიფო აღადგინეს.

ეს სახელმწიფო ანგარიშგასაწევი ძალა გახდა წინააღმდეგობით აღსავსე კავკასიურ სივრცეში, რომელიც თითქმის 120 წლის განმავლობაში უწყვეტად განაგრძობდა წარმატებულ ფუნქციონირებას. ქრისტეშობიდან დღემდე, არამც თუ საქართველოს, თვით დიდ სახელმწიფოებსაც არ ახსოვთ მსგავსი რამ: **პირველად ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, მეფის ხელისუფლება და ქრისტიანული რწმენა გაერთიანდა, დავით IV-სა და ჭყონდიდელი ეპისკოპოსის საერთო ძალისხმევის შედეგად, მიღწეულ იქნა სინერგიის არნახული ეფექტი — სახელმწიფო სტრუქტურებმა, მთლმა მოსახლეობამ ხელი და ტვინი გონივრულად გაანძრიეს, ხოლო ღმერთმა ზეციური წყალობა არ მოაკლო.** მარტო დიდგორის ბრძოლის გახსენება რად ღირს, რომელმაც ბედის მატარებელი გამარჯვება მოუტანა საქართველოს.

უნდა შევეხო ერთ მგრძნობიარე თემას, ეს გახლავთ ბიზნესმენ **ბიძინა ივანიშვილის** პიროვნების მიმართ ჩვენი მოსახლეობისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტის დამოკიდებულების საკითხი (მან განადგურების პირას მისული ქვეყანა იხსნა სრული კატასტროფისაგან, შექმნა პოლიტიკური გუნდი და გაეცალა ასპარეზს, — „სგ“.). ვფიქრობთ, რომ ამ გამოწვევას ჩვენი საზოგადოება ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს, რადგან დღის წესრიგში დგება ქვეყნის მომავლის განსაზღვრის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაც: ჩვენი დამოკიდებულება სოციუმის მდიდარი ფენის მიმართ, საკითხი ეხება ორივე შტოს — ქვეყნის შიგნით დაწინაურებულს თუ გარედან შემოსულს, როგორც წარმოშობით საქართველოს მოქალაქეებს, ასევე უცხო ინვესტორებს.

წელს სრულდება 180 წელიწადი ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან. დარწმუნებული ვარ, მას მთელი საქართველო აღნიშნავს. აქ კი ვიტყვი ერთს: **მავნეა ისტორიული მემკვიდრეობის, ჩვენს წინაპართა ღვაწლისა და დამსახურების მიჩუმათება.** გვაქვს ჩაფიქრებული, ეს თარიღი გამოვიყენოთ ნიკო ნიკოლაძის პიროვნებისა და დამსახურების ხელახალი გააზრებისათვის. იმედია, ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურულ-სამეცნიერო, სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრები ამ ინიციატივას მხარს აუბამენ.

ამ თემატიკაში საინტერესოდ გამოიკვეთა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი და მისი ახალგაზრდა რექტორი, პროფესორი **ზურაბ ხონელიძე**. სასიხარულოა, რომ მოკლე დროში ნათელი გახდა საუნივერსიტეტო დიპლომატიის იდეების საერთაშორისო მხარდაჭერა, დიდი ინტერესით ველოდებით მათ ახალ ნაბიჯებს, მათ შორის, აფხაზეთის საზოგადოების დიდი ფენისა ენგურსგაღმა საქართველოში.

ერთ-ერთი დიდი თემაა ქვეყნიდან იძულებით და ნებაყოფლობით გასულ მიგრანტთა შემდგომი ბედ-იღბალი. მათი რიცხვი დღეისათვის ერთ-ნახევარ-ორ მილიონ ადამიანს შეადგენს. მათ შორის არიან ეთნიკური ქართველები, აფხაზები, ოსები, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც. არადა, საქართველოდან მიგრანტთა შინ შემობრუნების მძლავრი ტალღა არ ჩანს. გაძლევთ პირობას, რომ სახელმწიფო, სხვა არასამთავრებო ორგანიზაციებთან ერთად დიდ ყურადღებას მივაქცევთ ამ ხალხის სახელმწიფოებრივად მიზანმიმართულ დასაქმებას.

მცდარი აზრია, თითქოს ქართულ ეკლესიას დღეს რაიმე განსაკუთრებული ჭირის ხანა უდგას. ასეთი და უფრო უარესი დღეები მას აქამდეც გაუვლია და ღირსეულად დაუძლევია კიდეც. ყოველივე, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ თვალი დავუხუჭოთ აშკარა ანტიფაქტებს, რაც ერს, სარწმუნოებას ურყევს საძირკველს. თავის ეპისტოლესა და ქადაგებებში პატრიარქმა ამ თემებს სათანადო ყურადღობა დაუთმო. ახლა საჭიროა, გონივრულად მოვეჭიდოთ იქ გამოთქმულ ბრძნულ რჩევებს.

ქართული მართლმსაჯულება არ იცნობს ისეთ განსაკუთრებულ დანაშაულს, როგორიცაა „სამშობლოს ღალატი“. ასეთ პარადოქსს, მე მგონია, მსოფლიო პრეცედენტი არ გააჩნია. როცა დიდი იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ქვეყანა აცხადებს მისგან გასვლას, ასეთი ნაბიჯი არცერთ დროში არ დარჩენილა დაუსჯელი და სასჯელიც ისტორიულად მკაცრი და დაუნდობელი იყო ყოველთვის, თვით მასშტაბური გენოციდის ჩათვლით.

იმ წლებს თუ გავიხსენებთ და სათანადო კუთხით შევაფასებთ, ადვილად ვნახავთ, რომ ხელისუფლების ვერცერთმა გენერაციამ ვეღარ შეძლო მოსალოდნელი ხიფათებისგან საქართველოს დაცვა და მისი ზოგიერთი უპირატესობის გონივრულად გამოყენება.

მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და მეგობარი ქვეყნების მიერ მნიშვნელოვანი თანხები გამოიყოფა დღესაც. ხალხში არ არის ჯანსაღი შეხედულება ამ სფეროში არსებულ ვითარებაზე. ამიტომ, ჩვენ გრანტების სამართლიანი მიწოდებასა და მიზნობრიობის მუდმივ მონიტორინგს განვახორციელებთ.



გარდა ამისა, გასათვალისწინებელია დონორთა სურვილებიც მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობის შესახებ.

ეროვნულმა მეხსიერებამ ახლა განსაკუთრებულად შეგვახსენა ჩვენი ოქროს ფონდის — უცხოეთში განათლების მისაღებად წასული ახალგაზრდების მიმართ ყურადღების გამახვილების აუცილებლობა.

ამასთან, მძლავრი საზოგადოებრივი მოძრაობა ვერ გაექცევა ისეთ საკითხს, როგორიცაა ომისა და მშვიდობის თემა. ვფიქრობ, თქვენს შორის უმრავლესობის აზრს გამოვხატავ და ვიტყვი — **საქართველოს ხელისუფლება სწორად მოიქცა, როცა გადაწყვიტა, არ ჩაებას ძმათამკვლელ ომში ორ მართლმადიდებელ ერს შორის.** ძველთაძველი ქართული ტრადიციაა, როცა ორი ძმა ერთმანეთს უპირისპირდება, მესამის პოზიცია შუაში ჩადგომა, შემრიგებლისა და გამშველებლის როლში ყოფნაა.

**2023 წლის 10 ივნისი**




# სად გაქრა სანქციებთან დაკავშირებული „შავი ხვრელები?“

ევროპა შეშფოთებულია ქართული ოპოზიციისა და მასთან აფილირებული მედიასაშუალებების მიერ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ გაჟღერებული ბრალდების გამო, რომლებიც საქართველოს მიერ სანქციებისგან თავის არიდებას ეხება.

პარტნიორები ტირაჟირებული სიცრუით იმდენად შეწუხდნენ, რომ სპეციალური ვიზიტით საქართველოში ჩამოვიდნენ. ამერიკელმა და ბრიტანელმა სპეციალისტებმა ადგილზე არსებული ვითარების შესწავლის შედეგად თქვეს, რომ საქართველოში არავითარი “შავი ხვრელები” არ არსებობს.

საქციების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა დევიდ ოსალივანმა განაცხადა: “ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოს ხელისუფლება სერიოზულად ეკიდება საკითხს, რომ ქვეყანა სანქციების გვერდის ავლისთვის არ იყოს გამოყენებული. საქართველოს დადებითი შთაბეჭდილებით ვტოვებთ“.

ბრალდების თავი და თავი გამოცემა „Politico“-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციაა, რომელშიც, როგორც გამოცემა აღნიშნავს, მოყვანილი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სანქციების კოორდინატორის, ჯიმ ო’ბრაიანის მიერ სანქციების აღსრულებასთან დაკავშირებით გამოთქმული განცხადება.

რეალურად, სახელმწიფო დეპარტამენტის სანქციების კოორდინატორ ჯიმ ო’ბრაიანის მიერ 7-8 ივნისს, სართაშორისო ანალიტიკური ცენტრის - საგარეო საქმეთა ევროპული საბჭოს (ECFR) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ღია დისკუსიის დროს წამოჭრილ საკითხზე, თუ რომელ ქვეყნებთან მიდის მუშაობა სანქციების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით და რამდენად წარმატებულად ახერხებს აშშ და ევროკავშირი სანქციების გვერდის ავლის პრევენციას, **საქართველო ნახსენები იყო არა როგორც ქვეყანა, სადაც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მიერ დაწესებული სანქციების გვერდის ავლა ხდება, არამედ იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ პარტნიორებთან, რათა მაქსიმალურად მოხდეს სანქციების რეჟიმის დარღვევის პრევენცია.**

უცხოელი სპეციალისტების დაკვირვებით დადასტურდა, რომ ანგაჟირებული მედიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია საქართველოს თითქოსდა მავნებლური პოლიტიკის შესახებ, ამჯერადაც უსაფუძვლო იყო.

სანქციებთან დაკავშირებული ზომების მიღებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო პოლიტიკა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საერთაშორისო სანქციების დაწესების დღიდან, საქართველოს მიერ მიღებულია საბაჟო გამშვები პუნქტებიდან სანქცირებული საქონლის უკან გაბრუნების 1 200-ზე მეტი საბაჟო გადაწყვეტილება, გაფორმების ეკონომიკურ ზონებში საქონლის ექსპორტის ან რეექსპორტის განზრახვის თაობაზე, პირის ზეპირი/წერილობითი მომართვისას უარის თქმის 800-ზე მეტი საბაჟო გადაწყვეტილება.

პროცედურულად რამდენად შესაძლებელია საბაჟოს გავლით გვერდი ავუაროთ საერთაშორისო სანქციებს, როგორც ამას მავანნი გვაბრალებენ? ფინანსთა სამინისტრო და განსაკუთრებით საბაჟო გამშვები პუნქტები სრულად აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, რომლის ტექნიკური მხარდაჭერა თავის დროზე საერთაშორისო დონორების დახმარებით მოხდა.

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებენ, რომ ასეთი კანონდარღვევები გამოირიცხოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ პირი საბაჟო წესების დარღევვით საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის შემოტანას მაინც გაბედავს და საბაჟო დეკლარაციაში არასწორ მონაცემებს მიუთითებს, კანონის თანახმად ჩაითვლება კონტრაბანდად, რაც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს წარმოადგენს. ამასთან, თუ საქონლ;ის მფლობელი ვერ დაამტკიცებს საზღვარზე საქონლის წარმომავლობას და ვერ მიუთითებს, რა მიზნისთვის კვეთს საზღვარს, თანამედროვე პროგრამული კომპიუტერული სისტემა მას არ მიანიჭებს შესაბამის კოდს და არ მისცემს უფლებას, გადაკვეთოს ქვეყნის საზღვარი. ამასთან ასეთ დარღვევებს, ჩვეულებრივ, მოჰყვება ადმინისტრაციული ჯარიმები და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც. ცნობილია, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური პირდაპირ ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს, რომელიც აქტიურად იძიებს საბაჟო წესების დარღევის შედეგად დამდგარ დანაშაულებს. საზოგადოებას კარგად ახსოვს აღნიშნული საგამოძიებო სამსახურის პოლიტიკის მძიმე შედეგები, რომელზეც აღარ შევჩერდებით, მაგრამ წარსულისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი აღარ მიმართავს რეკეტს, ბიზნესის დაყაჩაღებას და დღეს სრულად ორიენტირებულია ადამიანის უფლებებზე.

სწორედ დასახელებულმა მიზეზებმა გააოცა ჩვენი პარტნიორები. ისინი დეზინფორმაციას ადევნებულები ჩამოვიდნენ საქართველოში, ადგილზე გაეცვნენ საბაჟო წესებს, პროცედურებს, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, გაერკვიენ და შეაფასეს, რამდენად სწორი იყო საქართველოს წინააღმდეგ გაჟღერებული ბრალდება სანქციების გვერდის ავლასთან დაკავშირებით. გზადაგზა, ალბათ, ფიქრობდნენ, ქართველები ნიჭიერი ხალხია და ამასაც მოხერხებდნენო, მაგრამ...

ევროპამ კარგად დაინახა, რომ საქართველოში არვითარი შავი ხვრელები არ არსებობს და რომ შეუძლებელია საქართველოს გამოყენება საერთაშორისო სანქციების გვერდის ასავლელად. ამ გაუგონარი დეზინფორმაციის ფონზე კი დასავლეთელი პარტნიორები ქართული ოპოზიციისა და მასთან აფილირებული მედიის ნდობა დიდი ხანია დაკარგეს.

# სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ახალი სათავო ოფისის პროექტი და მედიის არაკორექტული ქცევით განაწყენებული საზოგადოება

„საერთო გაზეთმა“ სპეციალური საგამოძიებოს უწყების საქმიანობას განსაკუთრებული ადგილი დაუთმო და საზოგადოებას დეტალურად გააცნო ის ფუნციები, რომლებიც ამ უწყებას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით აკისრია.

30 ივნისს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ჩვენი რედაქცია თბილისში, გუდიაშვილის ქუჩაზე ახალი სათავო ოფისის პროექტის საჯარო პრეზენტაციაზე მიიწვია. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასსთან ურთიერთობის სამსახური ჩვენ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. მიზეზიის ობიექტური წერილი იყო, რომელიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა.

კოკა კაციტაძის თქმით, 2022 წლის 1-ელი მარტიდან, სპეციალური საგამოძიებო სამსახური მნიშვნელოვნად გაზრდილი ფუნქციებით ამოქმედდა. სამსახურს 40 ახალი დანაშაულის/მუხლის გამოძიება დაექვემდებარა, რამაც, ფაქტობრივად, გააოთხმაგა საგამოძიებო სამსახურის დატვირთვა. შესაბამისად, სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელი გახდა ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული გაძლიერება, სტრუქტურული გაფართოება, გამომძიებლების დამატება და საშტატო რიცხოვნობის ზრდა. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, სამსახურს თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 4 440 $м^2$ მიწის ნაკვეთი გადმოეცა, სადაც ახალი სათავო ოფისი აშენდება. ამ მიზნით სამსახურმა არქიტექტურული პროექტის შესამუშავებლად ღია კონკურსის საფუძველზე კომპანია შეარჩია. 150 თანამშრომელზე გათვლილი ახალი სათავო ოფისის პროექტი სამსახურის ფუნქციებსა და საქმიანობის სპეციფიკაზე სრულად იქნება მორგებული. აღიჭურვება უსაფრთხოებისთვის აუცილებელი თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული ტექნიკითა და ინვენტარით, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით. შენობის საერთო და სამუშაო დანიშნულების სივრცეები სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირებზე. სამშენებლო ფართი დაახლოებით 5 877 კვ.მეტრზე განთავსდება და 5 სართულს მოიცავს, სადაც საკონფერენციო დარბაზი, საბრიფინგე სივრცე, გამოკითხვის, დროებითი დაკავების, ამოცნობისა და საქმის მასალების გაცნობის ოთახები მოეწყობა.

შენობა მიწისქვეშა 2 სართულსაც მოიცავს, სადაც თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ნივთიერ მტკიცებულებათა საცავი, სასერვერო, საარქივო, სათავსო და ოპერატიული დანიშნულების ავტომობილების პარკირების სივრცე განთავსდება.

მშენებლობისთვის დაახლოებით 15 000 000 ლარია გათვალისწინებული და მისი დასრულება 20 თვეშია დაგეგმილი. ამჟამად, პროექტი დასრულების ეტაპზეა და სამსახური თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს სამშენებლო ნებართვის მიღების მიზნით რამდენიმე დღეში მიმართავს.

კოკა კაციტაძემ მიწვეულ საზოგადოებას დამატებით განგვიმარტა ის მიზეზები, რამაც ახალი ოფისის მშენებლობა განაპირობა: “სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისგან თბილისში, კოსტა ხეთაგუროვის ქუჩაზე მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული დაზიანებული (ჩამონგრეული) შენობა გადმოეცა, რომლის რეაბილიტაციასაც ინსპექტორის სამსახური ცენტრალური ოფისის მოწყობის მიზნით ახორციელებდა. თუმცა, 2021 წლის 29 ნოემბერს, სამუშაოების მიმდინარეობისას შენობის შიდა პერიმეტრზე სართულშუა გადახურვებისა და საყრდენი კედლების ნაწილი ჩამოინგრა და მომეტებული საფრთხის გამო ინს-



პექტორის სამსახურის გადაწყვეტილებით, მშენებლობის პროცესი შეწყდა და ჩამონგრევის მიზეზისა და შენობის გამაგრებისთვის საჭირო დამატებითი სამუშაოების დადგენის მიზნით შესაბამისი ექსპერტიზა დაინიშნა. ექსპერტიზის დასკვნის შედეგად, შენობის მდგრადობის თავდაპირველ მდგომარეობამდე მიყვანა არარაციონალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილებით, დაზიანებული შენობა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაუბრუნდა, ხოლო შენობის ჩამონგრევის მიზეზებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო”.

რა თქმა უნდა, მოწვეული საზოგადოებისათვის ახალი პროექტის პრეზენტაცია მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ღონისძიებაზე კონტექსტიდან ამოვარდნილი მედიის წარმომადგენელთა უხერხული ქცევა არც დიპლომატიური კორპუსისთვის დარჩენილა შეუმჩნეველი. ანგაჟირებული მედია საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელს კითხვებს უსვამდა ყველაფერზე, გარდა წარმოდგენილი ახალი პროექტისა.

სპეციალური საგამოძიებო უწყება ის სახელმწიფო სტრუქტრურაა, რომლის პირდაპირი ვალდებულება ჟურნალისტების უფლებების დაცვაა, რის გამოც საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ ლამის ყოველდღე მიმართავენ და დახმარებას სთხოვენ. თუმცა, სამწუხაროდ, ღონისძიების დასასრულს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჟურნალისტებს არაფერი ადარდებთ, გარდა ერთისა: ზედმეტად იხმაურონ და მნიშვნელოვანი არაფერი თქვან.

**ლევან ჭილლაძე**

# ქორწინების ასაკი და დემოგრაფია



*გვესაუბრება დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე:*

## ნაადრევ და მაღალ ასაკში დედობა ძალიან სახიფათოა. ასაკში მშობიარობა ბავშვს ლეიკემიის რისკს უქმნის

უკანასკნელ წლებში 35 წლისა და უფროსი ასაკის ქალთა მიერ ბავშვთა გაჩენის მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად იმატა. საკმაოდ ბევრი ბავშვს აჩენს ადრეულ ასაკშიც. საქართველოში 1989 წელს 40 წლამდე ასაკის ქალების წილად ახალშობილთა 99,0 პროცენტი მოდიოდა, ხოლო 35 წლამდე ქალების წილად — 94,3 პროცენტი. ამჟამად ეს მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა. კერძოდ, 2019 წელს საქართველოში 40 წლამდე ასაკის ქალების წილად დაბადებულთა 96,2 პროცენტი მოდის, ხოლო 35 წლამდე ასაკის ქალების წილად — 84,4 პროცენტი. ნაადრევ, ისევე, როგორც განსაკუთრებით დაგვიანებულ ასაკში ქალების ქორწინება და ბავშვების დაბადება უაღრესად ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე, ანუ თაობათა განახლების პროცესზე. სამწუხაროდ, იზრდება მძიმე დაავადებებით დაბადებული ბავშვების რაოდენობაც.

ერის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მრავალ ფაქტორთა შორის მოსახლეობის დეპოპულაცია და შობადობის შემცირებაც მოქმედებს. ამიტომ დემოგრაფები შეშფოთებულები არიან იმის გამო, რომ ერთშვილიანი ოჯახების მატების პარალელურად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დონეც იკლებს. პირველ შვილს ჯანმრთელობის უფრო ცუდი მაჩვენებლები აქვს, ვიდრე დაბადების რიგითობის მიხედვით მეორე და მესამე შვილებს.

აღსანიშნავია, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას გვიჩვენებს და შობადობის დონის საკმაოდ ზუსტი მაჩვენებელია, მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ, თუ ის 1980-1989 წლებში ერთ ქალზე, საშუალოდ, 2,2 ბავშვს და მეტსაც უდრიდა, 1994-2007 წლებში ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 1,6-1,7 ბავშვი შეადგინა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალგაზრდა დედებს უფრო მეტად ვაჟები უჩნდებათ, რაც სქესთა მეორეული თანაფარდობის ზრდას ნიშნავს. ამის შედეგად, გაიზრდება მოკვდაობა და შემცირდება მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, რამდენადაც მოხუცებულობის ასაკამდე უფრო მეტი მამრობითი სქესის წარმომადგენელი იღუპება, განსაკუთრებით ერთ წლამდე და შრომისუნარიან ასაკში. მაგალითად, 1989 წელს 60 წლამდე ასაკში ქვეყანაში სულ გარდაიცვალა 14489 ადამიანი, აქედან 9691 მამაკაცი და 4798 ქალი. უფრო მძიმე ვითარება იყო მომდევნო წლებში. კერძოდ, თუ 1989 წელს 60 წლამდე გარდაცვლილებში მამაკაცები 66,9 პროცენტს შეადგენდნენ, ქალები კი 33,1 პროცენტს, 2015 წელს შესაბამისი მაჩვენებლები 72,3 და 27,3 პროცენტს უდრიდა.

პირველი შვილები, ჩვეულებრივ, უფრო სუსტები იბადებიან, რამდენადაც პირველად მშობიარე დედის ორგანიზმი ყოველთვის ვერ იღებს იმას, რაც მუცლად ყოფნის პერიოდში ნაყოფის განვითარებისთვისაა საჭირო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქალი ნაადრევად ორსულდება. დაბადების რიგითობის მიხედვით, უფრო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანები მეორე და მესამე შვილები არიან. შემთხვევითი როდია, რომ მსოფლიოს ხალხთა და, რა თქმა უნდა, ქართულ ზღაპრებშიც, დევის თუ გველეშაპის მოსაკლავად წასულ პირმშოს უჭირს წინააღმდეგობის გადალახვა და მალევე უკან ბრუნდება, მეორე შვილი მხოლოდ გზის ნახევრის გადალახვას ახერხებს და მხოლოდ მესამე შვილი აღწევს მიზანს.

დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისთვის ქორწინებისა და ბავშვთა დაბადების ყველაზე საუკეთესო ასაკად 20-24 და 25-29 წლები ითვლება. 30 წელს გადაცილებული ქალები, პირველი შვილის დაბადების შემთხვევაში, ხანდაზმულად ითვლებიან. გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ამ დროს მატულობს პერინატალური მოკვდაობა, რაც მკვდრადშობადობასა და ადრეულ ნეონატალურ მოკვდაობას გულისხმობს, ანუ ჩვილთა მოკვდაობას დაბადების მომენტიდან სიცოცხლის პირველ კვირას. ამასთან ერთად, იზრდება სხვადასხვა სერიოზულ გართულებათა და დაავადებათა რიცხვი. პირველი მშობიარობა ზოგჯერ სერიოზული გართულებებით მიმდინარეობს, არც ისე იშვიათად ბავშვებს ასაკთან ერთად გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენა აღენიშნებათ. 35 წლისა და უფროსი ასაკის ქალების მიერ გაჩენილ ბავშვებში იზრდება დაუნის სინდრომითა და გულის მანკით დაბადებულ ბავშვთა ალბათობა. გულის თანდაყოლილი მანკი მუცლადმყოფი ნაყოფის არასწორი განვითარების შედეგად ვითარდება და ზოგიერთ შემთხვევში იმდენად მძიმე ფორმის შეიძლება იყოს, რომ ახალშობილი რამდენიმე დღეში დაიღუპოს. განსაკუთრებით მაღალია 35 წლისა და უფროსი ასაკის ქალების მიერ გაჩენილ ბავშვებში დაუნის სინდრომის რისკი, რაც კარგად ჩანს გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით. თუმცა, ბოლო დროს ამ მხრივ მედიცინაში მიღწეული წარმატებებიც აღნიშვნის ღირსია.

მაგალითად, როცა ქალი 20 წლამდე ასაკში აჩენს შვილს, დაუნის სინდრომის რისკი 2325 დაბადებულ ბავშვზე მხოლოდ ერთია; 20-24 წლის ქალებში 1612 დაბადებულზე ერთი დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვი მოდის, 25-29 წლის ასაკში კი 1204 დაბადებულზე ვიღებთ ერთ დაუნის სინდრომიანს, 30-34 წლის ასაკში დედა 869 დაბადებულიდან დაუნის სინდრომიან ერთ ბავშვს აჩენს, 35-39 წლის ასაკში 285 დაბადებულზე ერთი ბავშვი მოდის, 40-44 წლის ასაკში 100 დაბადებულზე — ერთი, ხოლო 45 და უფროსი ასაკის ქალებში 45 დაბადებულზე ერთი დაუნის სინდრომიანი ბავშვის გაჩენის რისკია. მოტანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ დედის ასაკის **ზრდასთან ერთად შესამჩნევად იზრდება დაუნის სინდრომით დაბადებულ ბავშვთა რისკი.**

ონკოლოგებმა დაადგინეს, რომ დაგვიანებულ ასაკში პირველი მშობიარობა ქალის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. უნდა გვახსოვდეს, რომ სარძევე ჯირკვლების კიბოთი ორჯერ უფრო ხშირად ავადდებიან ის ქალები, რომლებიც ქორწინდებიან და პირველად 30 წლისა და უფროს ასაკში მშობიარობენ, **ვიდრე ისინი, ვინც 25 წლამდე დაქორწინდნენ ან პირველი მშობიარობა ჰქონდათ**. არ შეიძლება, აგრეთვე, დავივიწყოთ, რომ, რაც უფრო მაღალია დედის ასაკი მშობიარობის დროს, ბავშვის ლეიკემიით დაავადების მეტი რისკი არსებობს. ონკოლოგების აზრით, ბავშვი მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნება, თუ დედა პირველ ბავშვს 35 წლისა და უფროს ასაკში ბადებს.

აუცილებლად მივიჩნევ მოსახლეობაში დემოგრაფიული ცოდნის ამაღლებას. ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ ისიც კი არ იცის, რომ ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა. ქალებმა უნდა იცოდნენ, რომ გათხოვება, დედობა ნაადრევ და მაღალ ასაკში უაღრესად სახიფათოა. ქალებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ შვილების, ზოგადად, მომავალი თაობის, ერის ჯანმრთელობისა და გამრავლების კუთხით. დედობა დიდი ტვირთია და სასურველია მისი უდანაკარგოდ ტარება. მით უფრო, უაღრესად მძიმე პირობებში, როდესაც დემოგრაფიული კატასტროფა კარზეა მომდგარი. ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ყველა ვერ ახერხებს საუკეთესო ასაკში გათხოვებას და შვილის ყოლას, მაგრამ ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, საქმე სატანჯველად არ გავიხადოთ. ნურავინ იფიქრებს, რომ არსებულ ვითარებას ზედმეტად მუქ ფერებში ვხატავ, ეს რეალობაა.



პრობლემურია კიდევ ერთი საკითხიც — დემოგრაფიული მონაცემების თანახმად, მაღალ 40-49, 50-54, 55 წლისა და უფროს ასაკში გარკვეული რაოდენობის ბავშვი იბადება. მაგალითად, მხოლოდ 55 წლისა და უფროსი ასაკის ქალებს 2017-2020 წლებში საშუალოდ წელიწადში 15 ბავშვი შეეძინათ, თანაც აჩენენ არამარტო პირველ (5 ბავშვი), არამედ მეორე (3), მესამე (4), მეოთხე (2) და მეხუთე (1) ბავშვსაც კი. ამრიგად, ზოგიერთი ქალი საპენსიო ასაკში აჩენს ბავშვს, ხოლო დანარჩენი ქალები, მაგალითად, 45-50 წლის ასაკისანი, საპენსიო ასაკის 5-10 წელიწადში გახდებიან. იგივე ითქმის მამებზეც, რადგან დაქორწინებისას მამაკაცი საშუალოდ, თითქმის, ხუთი წლით უფროსია ქალზე. ბავშვს კი აღზრდა და მოვლა სჭირდება, მით უმეტეს, მძიმე ეკონომიკურ პირობებში. მაგრამ ესეც არ არის მთავარი. მამაკაცების მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა ბოლო წლებში საშუალოდ 67-68, ქალებისა კი — 77-78 წლებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ამ წლებზე დიდხანს იცოცხლებს, ზოგიერთი კი ნაკლებს. შედეგად, 15 წლისა და უმცროსი ასაკის ბავშვების ნაწილი აუცილებლად მშობლების გარეშე დარჩება. ბევრი მშობელი კი ამ ასაკში თავად საჭიროებს მოვლა-პატრონობას. ისინი ვერც შვილიშვილის დაბადების სიხარულს ეზიარებიან.

სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევის თანახმად, ქალების გარკვეული ნაწილი საერთოდ უარს ამბობს ბავშვის გაჩენაზე. ეს მეორე უკიდურესობაა. დასავლეთის ქვეყნებში ასეთი ქალების რაოდენობა გაცილებით მაღალია, ვიდრე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. ისინი მაღალ ასაკში მოხუცთა სახლებში აპირებენ ცხოვრებას და იქ სიცოცხლის დასრულებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბოლო წლებში, 35-49 წლების ასაკში მთლიანად დაქორწინებულთა რაოდენობა გაზრდილია. ამავე დროს, იზრდება პირველად დაქორწინებულთა რაოდენობაც. კერძოდ, 1996-2005 წლებში პირველად იქორწინა 145770-მა მამაკაცმა და 146739-მა ქალმა, ხოლო 2006-2015 წლებში 283628-მა მამაკაცმა და 286615-მა ქალმა.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქალი რაც უფრო ადრე აჩენს ბავშვს, კერძოდ, სრულწლოვნების მიღწევამდე, მით ნაკლებია მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა. მამაკაცებს კი ასაკის მატებასთან ერთად მკვეთრად ეზრდებათ სპერმატოზოიდებში მუტაციის რაოდენობა და მათ შვილებს უეჭველად ექნებათ მემკვიდრეობითი დეფექტების ამაღლებული რისკი. **ასაკოვანი მამების შვილების სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბალია, ვიდრე ახალგაზრდა მამების შვილებისა, განსაკუთრებით გოგონების**. დედის ასაკთან დაკავშირებით ცნობილი რუსი დემოგრაფი ვ. ბორისოვი კი აღნიშნავს: „ორსულობა 35 წლისა და უფროს ასაკში ნაკლებად სასურველია სოციალურ-ჰიგიენური ხასიათის მრავალი მიზეზის გამო: ასაკთან ერთად ქალებს ეზრდებათ მუცლის მოშლის, მკვდრადშობადობის ან სიცოცხლის პირველ წელს ბავშვის გარდაცვალების, აგრეთვე გენეტიკური დარღვევების რისკი და სხვა“.

საქართველოში გოგონების უმრავლესობა ცდილობს, სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლებაც მიიღოს. სწავლაში ხელი რომ არ შეეშალოთ და ეკონომიკური პირობების გამოც, დაქორწინების უკეთეს მერმისში გადავადებას ამჯობინებენ. ჩვენ მიერ სტუდენტებთან მრავალგზის ჩატარებული კვლევის შედეგად, დაქორწინებული თითო-ოროლა სტუდენტი აღმოჩნდა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მათ წინაშე უკვე სხვა პრობლემები დგება: მუშაობის დაწყებისა და კარიერული წინსვლისთვის ზრუნვა, რათა, როგორც იტყვიან, ფეხზე მყარად დადგნენ. ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდა ქალები ყველაზე ნაყოფიერ წლებს კარგავენ, როდესაც ყველაზე მეტად გააჩნიათ ჯანმრთელი ბავშვების დაბადების ბიოლოგიური უნარი. ასეთივე ვითარებაა დასავლეთის ქვეყნებში, სადაც უაღრესად ნაადრევ ასაკში მასობრივადაა გავრცელებული „ბოიფრენდის ინსტიტუტი“, ყალბად გაგებული ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირები, რომლებიც

თითქოს მყარი ოჯახების შექმნის გარანტიაა. სინამდვილეში, ასეთი ოჯახების დანგრევის შემთხვევები გაცილებით ხშირია იმ ოჯახებთან შედარებით, სადაც მეუღლეებს ქორწინებამდე სქესობრივი კავშირები არ ჰქონიათ. ასე რომ, მორალსა და ზნეობას თანდათანობით ვშორდებით.

### ოჯახში შვილები ძაღლებმა ჩაანაცვლეს

— ბოლოს მინდა, ერთ მეტად მტკივნეულ საკითხს შევეხო, რომელსაც არავინ აქცევდა და არც ახლა აქცევს ყურადღებას. ეს ეხება მაწანწალა და ოჯახის ძაღლებს და თითქმის თანაბრად ყველა ასაკის მოსახლეობას. ფაქტობრივად, ოჯახში შვილები ძაღლებმა ჩაანაცვლეს. ეს პრობლემა ორი-სამი ათეული წლის წინათ არ არსებობდა და შესასწავლია ახლა რა მოხდა. არადა, ერმა თავი უნდა გადაირჩინოს და გამრავლდეს. სხვათა შორის, 2021 წელს ამ საკითხზე რომის პაპის გამოსვლაც ვიხილეთ. მან შინაური ცხოველების მოყვარულები ეგოიზმში დაადანაშაულა: „ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ ადამიანს არ სურს ჰყავდეს შვილი, ზოგჯერ მათ ჰყავთ ერთი შვილი, მაგრამ ჰყავთ ძაღლები და კატები, რომლებიც ბავშვის ადგილს იკავებენ“. მან დაამატა, რომ ბავშვების ჩანაცვლება შინაური ცხოველებით, შეურაცხყოფას აყენებს კაცობრიობას და ადამიანურობას გვიკარგავს. ადამიანები უარს ამბობენ დედობასა და მამობაზე. მათ არ სურთ, შექმნან ოჯახი, რასაც შეიძლება ცივილიზაციის, სამყაროს დაღუპვა მოჰყვეს. აღნიშნული პრობლემა მრავალმხრივ საყურადღებოა და შესწავლას მოითხოვს. შობადობის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი, ისედაც უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებაში მყოფი ჩვენი ქვეყნისთვის, ოჯახებში მომრავლებული შინაური ცხოველებია. გარდა ამისა, იცვლება ქართველი ახალგაზრდობის ისედაც შეცვლილი ეროვნული მენტალიტეტი. თავის დროზე ამ საკითხზე მცირე მოცულობის სოციოლოგიური გამოკითხვა ვაწარმოეთ. ძაღლების პატრონებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ძაღლი მათი ოჯახის წევრია და ისევე უყვართ, როგორც შვილები, ლოგინშიც კი ერთად ვიძინებთო. ეს კი ღვთის გმობაა და მეტი არაფერი. შვილიშვილის ტოლ გოგოებსა და ბიჭებს ამ საკითხზე რამე თუ უთხარი, მაშინვე აგრესიულად შეგეპასუხებიან: ჩემს უფლებებს არღვევთ, ჩემი თავისუფლების სივრცეში ნუ იჭრებითო, თან იმუქრებიან: თქვენ თავს მიხედეთ, თორემ პოლიციას დავურეკავო. აი, აქამდე მიგვიყვანა ჭკუანაღრძობი სააკაშვილისა და მისი განათლების მინისტრის მიერ ჩატარებულმა განათლების რეფორმებმა. მოკლედ, ჩვენი საქმე სწორედ ისეა, როგორც იონა ვაკელის პიესა „აპრაკუნე ჭიმჭიმელში“, სადაც მთავარი გმირი აპრაკუნე ამბობს: პატარა ვიყავი — დიდების მეშინოდა, დიდი გავხდი და პატარების მეშინიაო. ამ საკითხის მოგვარებაში დიდი როლი ეკისრება მედიას და განსაკუთრებით ტელევიზიას. ტელევიზია კი სრულიად საწინააღმდეგო მოქმედებებს ახორციელებს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# მასობრივი საშუალებებით ადამიანთა მანიპულირების 10 მეთოდი



**სხვაგან თუ მიმდინარეობს მსგავსი გამოთაყვანების პროცესი იმ დოზით, რა დოზითაც საქართველოში, არ ვიცი, მაგრამ ეს კაცი რამდენადაც ჭკვიანი, იმდენად მავნებელიც ყოფილა. ამერიკელმა ლინგვისტმა, პოლიტიკურმა პუბლიცისტმა, ფილოსოფოსმა და თეორეტიკოსმა აბრამ ნოამ ჩომსკიმ (ხომსკიმ) შეადგინა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ადამიანთა მანიპულირების 10 მეთოდი, რომელთაც, სადაც საჭიროდ მიიჩნევენ, წარმატებით იყენებენ.**

### ყურადღების გადატანა

საზოგადოების მართვის ძირითადი ელემენტი მდგომარეობს პოლიტიკურ-ეკონომიკური მმართველი წრეების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიდან და პრობლემებიდან ადამიანთა ყურადღების გადატანაში ნაკლებად მნიშვნელოვან შეტყობინებებზე, რომლითაც საინფორმაციო სივრცე მუდმივად არის გადატვირთული. ყურადღების გადატანის ხრიკი საკმაოდ არსებითია იმისთვის, რათა მოქალაქეებს არ მიეცეთ შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი ცოდნა მიიღონ მეცნიერების, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, ნეირობიოლოგიისა და კიბერნეტიკის სფეროში. „მოქალაქეთა ყურადღება გამუდმებით უნდა გადავიტანოთ ნამდვი-



ლი სოციალური პრობლემებიდან ისეთ თემებზე, რომელთაც რეალური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოქალაქეები მუდმივად რაღაცით იყვნენ დაკავებულები და არ რჩებოდეთ დრო განსჯისთვის. უნდა შეგვეძლოს მათი ყურადღების გადატანა „მინდვრიდან ვაგონში“ (ციტატა წიგნიდან „ჩუმი იარაღი მშვიდი ომებისთვის“).

### პრობლემის შექმნა, შემდეგ კი მისი გადაწყვეტის მეთოდების შეთავაზება

მოცემული მეთოდი სხვაგვარად ასეც იწოდება „პრობლემა-რეაქცია-გადაწყვეტილება“. ამ ხერხის მიხედვით, ჯერ ხელოვნურად ქმნიან პრობლემას, ანუ ერთგვარ სიტუაციას, რათა მოსახლეობაში განსაზღვრული რეაქცია გამოიწვიონ, რათა მოსახლეობამ თვითონ მოითხოვოს მმართველი წრეებისთვის აუცილებელი ზომების მიღება. მაგალითად, დაუშვებენ ძალადობის ესკალაციას ქალაქებში ან მოაწყობენ სისხლიან ტერაქტს იმისთვის, რათა მოქალაქეებმა მოითხოვონ კანონი უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ და გაატარონ პოლიტიკა, რომელიც, ფაქტობრივად, მოქალაქეების თავისუფლებას შეზღუდავს.

ან კიდევ: გამოიწვევენ ეკონომიკურ კრიზისს, რათა ხალხს ნებაყოფლობით მიაღებინონ იდეა, თითქოსდა, „კრიზისიდან“ გამოსასვლელად საჭიროა სოციალური უფლებების დარღვევა და ქალაქის სამსახურების მუშაობის შეზღუდვა.

### მუდმივი გამოყენების მეთოდი

რაიმე არაპოპულარული ღონისძიების მიღება რომ უზრუნველყონ, მას თანდათანობით, დღითიდღე, წლიდან წლამდე ნერგავენ. სწორად ამგვარად მოახვიეს თავს მოსახლეობას პრინციპულად ახალი სოციალ-ეკონომიკური პირობები (ნეოლიბერალიზმი) გასული საუკუნის 80-90-იან წლებში.

სახელმწიფო ფუნქციების მინიმუმამდე დაყვანა, პრივატიზაცია, მერყეობა, არასტაბილურობა, მასობრივი უმუშევრობა, ხელფასი, რომელიც უკვე ველარ უზრუნველყოფს ცხოვრებისეულ პირობებს. ყოველივე ამის ერთდროულად დაშვება რევოლუციას გამოიწვევს, ამიტომ ეს ყველაფერი ნელ-ნელა ინერგება.

### აღსრულების გადავადება

არაპოპულარული გადაწყვეტილების მომდევნო მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებას მას წარუდგენენ „მტკივნეულად აუცილებელ“ ღონისძიებად, რათა მოცემულ მომენტში მომავალში მის განხორციელებაზე მოქალაქეთა თანხმობას მიაღწიონ. ბევრად ადვილია, მომავალში მსხვერპლის გაღებას დაეთანხმო, ვიდრე მიმდინარე მომენტისთვის. უპირველესად იმიტომ, რომ ეს უეცრად არ მოხდება და მეორე — ხალხის მასა ყოველთვის ელოლიავება გულუბრყვილო იმედს, რომ „ხვალ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება“ და რომ მსხვერპლი,



რომელსაც ახლა მისგან ითხოვენ, მომავალში საჭირო აღარ იქნება. ამგვარი პოლიტიკა მოქალაქეებს ნელ-ნელა აჩვევს მოსალოდნელ ცვლილებებს და როდესაც დრო მოვა, მათი მიღების პრობლემა აღარ იქნება, ადამიანები უკვე მორჩილად იღებენ პირობებს.

### მიმართე ხალხს, როგორც პატარა ბავშვებს

პროპაგანდისტულ გამოსვლათა უმეტესობა, რომელიც ფართო პუბლიკაზეა გათვლილი, ისეთ არგუმენტებს, პერსონაჟებს, სიტყვებსა და ინტონაციას იყენებს, თითქოსდა სკოლამდელი ასაკის ჯერ კიდევ გონებრივად უმწიფარ პატარებს ელაპარაკებიან. რაც უფრო ცდილობს ვინმე მსმენელის შეცდომაში შეყვანას, მით უფრო მეტად იყენებს ინფანტილურ მეტყველებით კონსტრუქციებს.

### მეტი აქცენტი ემოციაზე, ვიდრე განსჯაზე

ემოციაზე ზემოქმედება კლასიკური ხრიკია, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ დაიბლოკოს ადამიანთა რაციონალური ანალიზის უნარი, შედეგად კი საერთოდ, მიმდინარე მოვლენის კრიტიკული გააზრების შესაძლებლობა. მეორე მხრივ, ემოციური ფაქტორის გამოყენება გზას კვალავს ქვეცნობიერისკენ, რათა ჩანერგოს მასში აზრები, სურვილები, შიშები, იძულება და ქცევის გარკვეული მდაბიო მოდელები.

### განათლების კულტივირებით ადამიანებში უმეცრების დამკვიდრება

ეს არის მეთოდი, რომელიც ცდილობს მიაღწიოს ადამიანთა უუნარობას, გაიგონ ის ხერხები და მეთოდები, რომელთაც მათი მართვისთვის იყენებენ და რომელთა მეშვეობითაც საკუთარ ნებას უმორჩილებენ. განათლების ხარისხი, რომელსაც უმდაბლეს საზოგადოებრივ კლასებს სთავაზობენ, რაც შეიძლება უფერული, ღატაკი, და საშუალო უნდა იყოს, რათა უმეცრება, რომელიც საზოგადოების დაბალ კლასებს მაღალი კლასებისგან განაცალკევებს, იმ დონეზე დარჩეს, რომელსაც დაბალი კლასები ვერ დაძლევენ.

### მოქალაქეთა გაუნათლებლობისკენ წაქეზება

მოქალაქეებს უნერგავენ აზრს იმის შესახებ, რომ ძალზე მოდურია იყო ჩლუნგი, ურცხვი, უზრდელი და უხამსი... (გადაცემა „ქალური ლოგიკა“ გამახსენდა უცბად და შემდეგ ყველაფერი დანარჩენი)

### საკუთარი დანაშაულის გრძნობის გაძლიერება

ამ მეთოდით ადამიანს აიძულებენ დაიჯერონ, რომ მხოლოდ ის არის დამნაშავე საკუთარ უბედურებაში, რაც მისი გონებრივი შესაძლებლობების უკმარისობის ან არაჯეროვანი ძალისხმევის გამო ხდება. შედეგად, იმის ნაცვლად, რომ წინ აღუდგეს პრობლემებს, ადამიანი თვითდამცირებას იწყებს და ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებს, რაც დამთრგუნველ მდგომარეობას, მათ შორის, უმოქმედობას იწვევს, ხოლო იქ, სადაც უმოქმედობაა, რევოლუციასა და წინააღმდეგობაზე ფიქრი შეუძლებელია.

### იმაზე მეტი ცოდნის მოპოვება, რაც მათ საკუთარ თავზე უწყიან

ბოლო 50 წლის განმავლობაში მეცნიერების წარმატებებმა მეტად გაზარდეს ნაპრალი უბრალო ადამიანების ცოდნასა და იმ ცნობებს შორის, რომელთაც გაბატონებული კლასები ფლობენ. ბიოლოგიის, ნევროლოგიის და გამოყენებითი ფსიქოლოგიის წყალობით, „სისტემამ“ ადამიანის შესახებ უდიდესი ცოდნა მოიპოვა როგორც ფიზიოლოგიის, ასევე ფსიქიკის სფეროში. ამდენად, სისტემამ უფრო მეტი იცის ადამიანზე, ვიდრე თვით ადამიანმა საკუთარი თავის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ, უმეტეს შემთხვევაში, სისტემა უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობს და უფრო მეტად შეუძლია ადამიანთა მართვა, ვიდრე თვით ადამიანებს.

**მაკა ჯაყელი**

# უღრმესი მადლობა მედიცინის მუშაკებს, ღირსეულ პიროვნებებს!

მოგეხსენებათ, ავად ვინ არ ხდება, ჩვენისთანა რიგითი ადამიანები კი არა, საქვეყნოდ ცნობილი ადამიანებიც, მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენები, რომელთათვისაც 100-300 კილოგრამის აწევა და ზურგზე მოგდება არაფერს ნიშნავს. ჩვენ კი შურდულით გასროლილი პატარა ქვაც იმქვეყნად გაგვამზავრებს, იქ კი რა ამბავია, არავინ უწყის. და ასეა ეს ქვეყანა აწყობილი. გვქონდეს კი გადარჩენის იმედი? — იკითხავთ თქვენ. რა თქმა უნდა, კი, მაგრამ მთავარია, სად მოვხვდებით და ვინ იქნება ჩვენი მკურნალი...



ახლავე ყველაფერს მოგახსენებთ, ოღონდ, იმქვეყნიურ ამბავს ნუშემეკითხებით, არაფერი ვიცი და რადგან სიკვდილს გადავურჩი, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იმქვეყნად გამგზავრებას არ ვაპირებ და არც ვფიქრობ ამაზე. თანაც სულელი უნდა იყოს ადამიანი, რომ სიკვდილზე იფიქროს, როცა ქვეყნად იმდენი ლამაზმანი და მზეთუნახავია, რომლებიც მზეს ეუბნებიან, შენ ჩადი და ჩვენ ამოვალთო... არა, ბატონებო (ყოფილო ამხანაგებო), შორს ჩვენგან სიკვდილი... რადგან ჩვენ გვინდა წინსვლა, წარმატება, ბედნიერება, სიხარული, ჩვენი შვილიშვილების, პატარების გულში ჩახუტება და დიდი ხნის სიცოცხლე, 140 წელს მაინც უნდა გავძლოთ, რაც დღევანდელ პირობებში შესაძლებელია, რადგან მედიცინა ყოველდღიურად წინ მიდის...

ახლა კი მთავარზე, ჩემს ავადმყოფობაზე გადავიდეთ. ავად გავხდი კოვიდ-19-ით, რაც ძნელი, თითქმის მოურჩენელი პანდემიაა, რომელიც ჩინეთში, ქალაქ უჰანში, ამერიკის ლაბორატორიაში გაჩნდა...

ზემოთ მოგახსენეთ, მთავარია, სად მოხვდებით და ვინ იქნება თქვენი მკურნალი-მეთქი. ჰოდა, მე მოვხვდი „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში“ (მის.: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №16), სადაც ისეთი კოლექტივია წარმოდგენილი, თავი კომუნიზმში გეგონება და სოციალიზმის დროის საავადმყოფოს მოგაგონებს, სადაც 4-ჯერადი კვება იყო და საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ სახლში ყოფნის დროსაც აუცილებლად მოგენატრებოდა. აქაც ასეა...

მე მინდა, მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში, ძირითადად, №1 ბოქსირებული განყოფილების თანამშრომლებს, ქალბატონებს, ქალებსა და გოგონებს და შესასვლელში მდგომ დაცვის თანამშრომლებს, რომლებიც ყველანი ერთად ერთ საქმეს ემსახურებიან. აქ მოყვანილი ავადმყოფები გამოჯანმრთელდნენ და გამოჯანმრთელებულნი და ბედნიერები დაუბრუნდნენ საკუთარ ოჯახებს. კლინიკის ყველა თანამშრომლის მიზანი ჩვენი კარგად ყოფნაა. ისეთი მძიმე დრო იყო, კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, სასწრაფოს ხმას ისევ სასწრაფოს ხმა ენაცვლებოდა და ისეთი წარმოდგენა იქმნებოდა, რომ თითქოს მთელი ქვეყანა იყო ავად...

და ასეთ დროს, როცა ექიმებზე ხარ დამოკიდებული, ისინი მარტოს არასდროს გტოვებენ, შემოდიან დღისით თუ ღამით და მათი შემოსვლა გაბედნიერებს. ნათურა ჩამქრალიც რომ ყოფილიყო, ექიმი ქალბატონების ღიმილიანი ლამაზი სახე ანათებდა იქაურობას და იმის საშუალებას არ გვაძლევდა, ცუდ რამეზე, მაგალითად, სიკვდილზე რომ გვეფიქრა...

აქედან გამომდინარე, თავში სხვა აზრი მომდიოდა: „სიკვდილი საქართველოს მტრებს!“ და ეს იყო მათთვის გზავნილი, თანამედროვე ენაზე კი — „მესიჯი“.

ასევე მჯეროდა, რომ თუ ჩვენი მტრები ამ საავადმყოფოში, კლინიკაში მოხვდებოდნენ, ჩვენი ექიმები მათაც გადაარჩენდნენ, მათთვის, მედიცინის მუშაკებისთვის, მტერი არ არსებობს, რადგან ყველა ავადმყოფი გადასარჩენია...

როცა კლინიკაში თითქმის მკვდარი მიმიყვანეს, ცოტას კი ვსუნთქავდი, მაგრამ ეს არ იყო სუნთქვა, ეს იყო სიცოცხლიდან სიკვდილის მდგომარეობაში გადასვლის პერიოდი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით...

მაგრამ ამ კლინიკის მედპერსონალის შრომითა და დამსახურებით, ასევე, სწორი მკურნალობის წყალობით, კოვიდ-19 დამარცხდა...



ამ კლინიკური ცენტრის გენერალური დირექტორი ბრძანდება ბატონი **თენგიზ ცერცვაძე**, რომელმაც ეს კლინიკა შექმნა და ნიჭიერი და მცოდნე პერსონალითა და კადრებით დააკომპლექტა.

ისეთი პიროვნებები, რომლებიც ყოველთვის ხალხსა და სამშობლოზე ზრუნავენ, როგორიც ბატონი თენგიზი ბრძანდება, საუკუნეებში ერთხელ იბადებიან...

მადლობა მინდა ვუთხრა კლინიკის თანამშრომლებს:

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, ბატონ **გიორგი ბერიძეს**;

სამედიცინო დირექტორ, ქალბატონ **მარინა ეზუგბაიას**;

განყოფილების გამგეს, ქალბატონ **მარინე ენდელაძეს**.

ექიმ-ინფექციონისტებს: **ნაირა გოგებაშვილს, ალექსანდრე გოგინავას, აკაკი აბუთიძეს, ეკა ნეფიტვერაძეს, ნინო ვარამაშვილს, ვახო სართანიას, ლოლიტა ნამგალაძეს, მარინა გოდერძიშვილს, მაია ბალდავაძეს, თამარ ავაზაშვილს, მარინა ტრაპაიძეს, მანანა ღლონტს, მარი ზედგენიძეს.**



უფროს მედდას **მანანა გვახარიას**;

ექთნებს: **ქეთი დონღუზაშვილს, თათია მასურაშვილს, ირმა გაბოიძეს, ნინო ახალდიანს, ირმა ტახჩიდის.**

ზემოთ ჩამოთვლილი ექიმები და მედიკოსები ყველაფერს აკეთებდნენ ავადმყოფის გამოჯანმრთელებისთვის და აიძულებდნენ ავადმყოფობას, „გაქცეულიყო“, მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგად. მთელ სამედიცინო პერსონალის ოჯახებს ვუსურვებ, არ მოკლებოდეს სიკეთე, შვილებისა და შვილიშვილების სიმრავლეს, გაუთხოვრები გათხოვილიყვნენ მათთვის შესაფერის ოჯახებში, მათი ოჯახის წევრები, სურვილისამებრ, ჯანმრთელობის სამსახურში ჩამდგარიყვნენ, მაგალითი თავისიანებისგან აეღოთ და ავადმყოფთა გულები გაეხარებინოთ...

დასასრულ, მინდა, დიდი მადალობა გადავუხადო კლინიკის სამედიცინო პერსონალს ჩემი გადარჩენისთვის. მადლობა მათ ყველა იმ გამოჯანმრთელებული პაციენტის სახელითაც, ვისაც ჩემამდე უმკურნალეს, ვინც მათთან მომავალში მოხვდება და გამოჯანმრთელებული დატოვებს კლინიკურ ცენტრს.

კლინიკიდან ჩემი გამოწერიდან დიდი დრო გავიდა. ბევრჯერ დავაპირე მათთვის მადლობის გადახდა, მაგრამ მორიდებით ვფიქრობდი, შევძლებდი კი მათ მიმართ დამსახურებისამებრ მადლიერების გამოხატვას გაზეთის საშუალებით, მაგრამ თუ არ გადავუხდიდი, გული ძალიან მეტკინებოდა.

თქვენი გაზეთის საშუალებით მთელი საქართველოს სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კლინიკური ცენტრის მთელ კოლექტივს პროფესიონალიზმისთვის, კეთილი შრომისთვის და მზრუნველობისთვის.

დიდი მადლობა თქვენ, სამშობლოსათვის თავდადებულო ჩვენი დღევანდელი დღის გმირებო!

**ნიკოლოზ გვათუა**
2023 წლის 3 ივლისი
ქ. ზუგდიდი
®



**ჩვენს ძვირფასს, ერთგულ, პასუხისმგებლიან თანამშრომელს, კეთილშობილ, საუკეთესო მეგობარს ბელა გველესიანს ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, დღეგრძელობას, დიდ ბედნიერებას და წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში.**

„საერთო გაზეთი“

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 19 ივლისს**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99